

WV
1/30

იბანე ჯავახისამილი

3969

9(479.22.)

საერთო კრებას გევა

10.

და

2/2

მისი უცრების ისტორია

50082.

92

653

63

63.

053.

33.

636.


გადმობეჭდილი

"ცნობის ფურცლიდან".

1617.

90.

803661313



ელეტრონიკური სტატუსი წიგ. გამომც. ქართ. ამნ—სა

1905

Дозволено цензурою, Тифлисъ. 1 августа 1905 г.

საქართველოს მთავრი და მისი
უფლების ისტორია

თავი I. მეფობის აღდგენის ისტორია და ქართველ მოდგრის ტომთა შეერთება.

თავი II. საქართველოს მეფეების სახელმწიფოს იდეალი: თვითმპურობელობა, მეფობის ლვთისნიერობა და ხელმწიფის გაღმერთება.

თავი III. „პატრიონურობა“ საქართველოს სახელმწიფო და საზოგადოებრივ წეს-წყობილების დამახასიათებელია.

თავი IV. საქართველოს მეფის უფლება; რა საქმეები შეადგენდნენ მის „მართებასა“ და „განსაგებელს“.

თავი V. საქართველოს მეფე თვითმპურობელი იყო თუ არა?

თავი VI. ბრძოლა აზნაურთა და საქართველოს მეფეების შორის ქვეყნის მართვა-გამგეობის უფლების გამო.

თავი VII. ლიდებულ აზნაურთა პირველი პოლიტიკური გაფიცვა მთავრობის წინააღმდეგ.

თავი VIII. პოლიტიკური შორიაობა და მეფის უფლების შეზღუდვა; პარლამენტის მსგავს დაწესებულების დაარსების მოთხოვნილება.



საქართველოს მაცხ და იმისი
უფლების ისტორია.

თავი პირველი

საქართველოს მეფის უფლების შესწავლას ამ გამოკვლევაში ჩვენ უძველეს ხანიდან არ დავიწერებთ იმისტომ, რომ ამ ხანის შესახებ ჩვენი გამოკვლევა უკვე დაიბეჭდა ცალკე წიგნად და ვისაც სურს, შეუძლიან იქ აღმოიყოთხოს თუ რა ნიადაგზე იუთ დამეარებული უძველესს ხანაში მეფის უფლება და ქართველ ერის საზოგადოებრივი წესწეობისას. აქ ვიტუვი მხოლოდ გაკვრით, რომ მეფის უფლება საგვარეულო წესწეობისაზე იუთ დაუგმნებული და მე-II—XIII საუკ. დროინდელ საქართველოს მეფის უფლებასთან ჰირდაპირი დამოკიდებულება არა ჰქონდა. ისტორიაში საბუთებიდანა სჩანს, რომ ის საგვარეულო წესწეობისაზე დამეარებული მეფის უფლება სპარსელებმა გააუქმის გადაც და ამის გამო მერმენდელ მეფის უფლებასა და ჰირვანდელ დროის მეფის უფლების შორის კავშირი არ ასებდებდა. საგვარეულო წესწეობისაზე დამეარებული

ბულ მეფის უფლების გაუქმებას ჩვენი უძველესი მემატიანე „მდეცევად ქართლისად“ ასე მდგო-თხრობს: „მეფის ბაკურ და კათალიკოზი იყო მაკარი... და ამის ბაკურისზე დაესრულა მეფობად ქართლისად“ (ე. თავაძევილი, სამი ისტ. ქრ. 33)... „სპარსინი უფლებდებ ქართლს და სომხითს და სიღნივას და გუასშურაგანს“ (ibid. 34); შემდეგ მემატიანე უმატებს „და ნელადრო შეკრბა ქართლი და განაჩინეს ერისთავად გურამ“ (ibid. 84); ამ ამბის მოთხრობის შემდეგ იგი მხოლოდ ერისთავებზე-და ლაპარაკობს და მეფეების შესახებ კრინტიც არა აქვს დაძრული. ამგვარად წვენ უძველეს მემატიანეს სიტუაცია, სპარსელებმა მეფის უფლება მოსპეს საქართველოში და ქვეყნას კარგა ხანს საკუთარი ხელმწიფო არა ჰყოლია. წვეულებრივ მიღებულ წელთა აღრიცხვით ბაკური 557—570 წლამდე მეფიადა, მაშასადამე 570 წლის შემდეგ წვენი სამშობლი უმეტედ დარჩენილა. მაგრამ ევსტატე მცხეთელის მარტვილისა გვიჩვენებს, რომ ზემომოცვანილი თარიღი სწორე არ უნდა იყოს; ამ მარტვილისაში საქართველოს მეფე სრულებით მოხსენებული არ არის. და ქვევნის გამგედა და პატირნად სპარსეთის მთავრობის დაწინული შეხელე მარზპანი ითვლებოდა; ამ გამგეს ეჭვემდებარებოდნენ საქართველოს უკედა წარჩინებული პირი, რომელთაც მარტვილის ავტორი „ქართლის მთავრებს ეძახის (ის. საქართველოს სამთხე, 315); ეს შირები ბრძანდე-

ბოდნენ: „ქართლისა კათალიკზი, ქართლისა მამასახლისი, ქართლისა შიტიახში და სეფე წელი (ibid 315). ეგიტატე მცხეთელის მარტივილისა როგორც საისტორო წეართ უმაღლეს ნდობის ღირსია (იხ. ამის შესახებ ჩემი და პროფ. ჰარნაკის გამოკვლევა Das Martyrium d. heiligen Eustatius von Mzchetha, ბერლინის სამეცნიერო აკადემიის მთამბეშია დაბეჭდილი. Z. K. P. A. W. 1901, XXXVIII), იგი 600 წ. ახლო სანებშია დაწერილი, ხოლო ევსტატე მცხეთელი 544—5 წ. აწვალეს (ibid. გვ. 21). მაშასადამე 545 წელს ატელია მეფის უფლება საქართველოში გავი გაუქმებული უოფილა და „სპასნი ქართლს უფლებდეს; ამის გამო ზემომოქმედილი მეფისის მისპირის თარიღი (570 წ.) სწორე არ უნდა იყოს, სპასეთის მთავრობას, სჩანს, იგი მეუქვესე საუკუნის შირველია ხევარშივე მოუსპია. საქართველოში მეფისის გაუქმების შემდეგ თათქმის ორმა საუკუნეში გაიარა, სპასეთის მთავრობამ, სასანელთა სამეფო გვარმაც თავისი დრო მოიწვამა და დაემსო; აღმოსავლეთით მომავალმა კამაჭმალიანებულმა არაბებმა ეს ერთ დროს შიშის ზარის დამცემი სახელმწიფო დაამარცხეს და დაიმორჩილეს. ბედმა საქართველოსაც იგივე ხევადრო არგუნა და ეხლა არაბებს ჩაუგდო ხელში. არაბების ბატონიდის დროსაც ჩეენი ქვეუანა კარგა ხნის განმავლისში უშეფოდ იყო: ეს ცხადადა სჩანს, როგორც „მოქცევაშ ქართლისა“-დან, ისე

სუმბატის ქრიზისიდან და აბცს ცხრებიდან; შეეგნის გამგედ ხალითას წარმომაღენელი ამირა ითვლებოდა; ოგო რიტოლისში იჯდა ხოლმე; ხოლო ადგილობრივ მკვიდრთა შერის უმთავრეს პრად ერისთავი ითვლებოდა (იხ. ოგოვე წერები). აბც თბილების მარტივილობა საუცხოვოდ გვისურათებს, თუ რა შევიწროებულ მდგრადი რეალაში იუვნენ ნაცვინული ერისთავები: ღენა, საპურიბილე და თანამდებობის ჩამორთმება წეეჭლებრივი მოვლენა იყო მაშინ (საქართ. სამოთხე, გვ. 338, 339). საქართველოს მეფის გაუქმებული უფლება, როგორც ქვემოთ დაგნახავთ, 888 წლის ახლ ხანებში აღადგინეს. აშა-სადამე მე-V საუკ. პირველ ნახევრიდან მოუღებული მეცხრე საუკუნის დამჯენვილე საქართველოს საკუთარი მეფე არა ჰერლა; სამ საუკუნე ნა-ხევრის მანძილი სრულიად საკმარისია, რომ აღდგენილ მეფობისა და უძველეს დროინდელ მეფის უფლების შერის პირდაპირი კავშირი და დამკაიდებულება შეწყვეტილად ნავთვალით. ამ დროს განმავლობაში საზოგადოებრივ ცხოვ-რების პირაბებიც თვალსაჩინოდ შეაცვალა. უმეტობის დროს პირველი ალაგი, როგორც უკვე მოხსენებული იყო, ერისთავებმა და აზნა-ურებმა დაიყინეს. ამ ერისთავებს ბიზანტიის იმპერატორები მოწეულების თვალით უუკრებდნენ და ეხმარებოდნენ ხოლმე: ეს ოქადანა ჩანს, რომ თითქმის უვალა ერისთავები ბიზანტიის კეიისრიბის ან ხელის-უფლებად, ან არა

და კარისკაცებად ითვლებოდნენ: მაგალითად, სუშიბატის ქრისტიანიში ბაგრატიონთა გვარის პირველ ერისთავის შესახებ ნათქვაშია: „მოსცა მას შეფეხშინ ბერძენთამან პატივი კურაპალატობისა“ (იხ. მართამ ღეღ. ვარდანტი, ე. თა- ყაიშვალის გამოცემა, გვ. 339). სტეფანიზის შეიძლება გურამისაც კურაპალატობის პატივი ჰქონდა (ibid 342), ამ გურადვე გურამის შეიძლება ვარაზიაკუნისაც ანთოპატრიოგის პატივი ჰქონდა ნაბოძები იმპერატორისაგან; დასასრულ, თოთონ აშოთ ერისთავთ-ერისთავიც ხომ კურა- პალატი იწოდებოდა (ibid 342). რომ ბიზან- ტიის იმპერატორები მარტი ცარიელ შეხელებით არ ეხმარებოდნენ ქართველ ერისთავებს და საქმითაც ძალიან ეწეოდნენ პირველ სანებში, ამას ხომ აშოთ კურაპალატის თავგადასაყალიც ამტკიცებს: არაბების შეაცრმა ბატონიბამ ისე შეაწესა იგი, რომ იძულებული იყო ბიზანტიაში გახილენა დაეპირებინა. ამის გამო იგი დასავ- ლეთ საქართველოსაკენ გაემგზავრა, მაგრამ მერე მას იქ ერთი ადგილი მოეწინა და შავ- შეთში დასხა; ადაემკვიდრა მუნ, შოგვითსრობს მემატიანე, და მისცა ღრთნ გამარჯვება; და ახელმწიდოვა იგი შავშეთ კლარჯეთსა ზედა და მან სოფლები ზოგი იუიდა საფასითა და ზო- გი ისერი აღაშენა და განამრავლა სოფლები აშოთ კურაპალატმან ქვეუანათა მათ შინა და მისცა ღრთნ და განამრუცა ხელმწიფება მისი ნე- ბითა ბერძენთა მეფისათა“ (მართამ ღეღ- ვარ. ibid 348).

თანდათან ერთსთავნი, რომელიც ქართლსა, გახეთსა, შავშეთ-კლარჯეთსა და აფხაზეთში ერსა ჰატრიანობდნენ, ღინეს იქრებდნენ და ძლიერდებოდნენ; არაბთა ბატონიბია კი თანდათან სუსტდებოდა და ქართველებისათვის ისე საშიში ადარ იყო. ეს გარემოება, რასაკვირველია, ერთს მოსული იქრებასა და მოლონიერებას ხელს უწეოდა. დიდის ჩინად გაუქმებული ქართლის მეფის უფლება 888 წლის ახლა სანებში ადადგინეს; ბაგრატიონთა გვარის მემატიანე ამ თვრიად საუკადდებო ამბავს ძალან მოკლეთ მოგვითხრობს: „მოკლეს ნასრა, სწერს იგი, ხევსა მცხვეთისასა, სოფელსა ას-ზანძას, ქრისიანისა რც და არა დაუშთა შეი-ლი ნასრას და ადაზოცა სახსენებელი მისი. ადარნასე ქე დავით კურატპალატისა და-სუეს ქართულოთა მეფედაო“. (სამი ისტ. ქრ. 59). რასა ნიშნავს ეს უგანასკნელი წი-ნადადება, ვინ დასჭა ადარნასე მეფედ? ამის შესახებ ჩვენი მემატიანე სდების. ამიტომ მკვლევარი იძულებულია ამ საკითხს ჭერჭერობით გვერდი აუქციონის.

როგორც მემატიანე მოგვითხრობს, „ადარნა-სე დასუეს ქართულოთა მეფედ“, იგი მაშა-სადამე იქნებოდა „მეფე ქართულოთა“. ამაზე უფრო აღრეც მეფია აფხაზეთშიც დაფუნდა და ადარნასეს დროს, რასაკვირველია, უკვე არსებობდა „მეფე აფხაზთა“; გახეთსაც თავისი სა-კუთარი მეფე ჰერი, იგი იწოდებოდა „მე-

უდი კახთა“ *). ერთი სიტუაცით ამ დროს
ქართველი გრი ჭერ კარგების რამდენიმე ტაშებ-
რიგ ჭბგვად იყო დაუღვიველი, და ცალკე, თვით-
შმართველ, ერთი ერთმანეთისაგან დაშოუგიდე-
ბელ სახელმწიფო სხეულს უქადგენდა. თანდა-
თან ის განცალკევებული სამეცნიერო და საერთის-
თავობი ერთი ერთმანეთს უკრთდებოდნენ,
ანუ უფრო სწორე იქნება რომ ვთქვათ, ერთი
რომელიმე უფრო ძლიერი და მოხერხებული
მეფე თავის საბრძანებელს სხვათა სამფლობე-
ლოებსაც შემოუერთებდა ხოლმე. ამ სანაც და თვით
ამ მოღვაწეობას გაერთიანების სანა და გაერ-
თიანების პილიტიკა უნდა დაერქვა; გილოე
დავით ადმაშენებელი თბილის არ აიღებდა და
სამეფოს სატახტო ქადაქად არ აქცივდა, უველა
ჩვენი მეფეები ამ გაერთიანების განხორციელე-
ბასა ცდილობდნენ. ცდილობდნენ. ცდილობდნენ.
ცდილობდნენ. ცდილობდნენ. ცდილობდნენ.

*) ჩვენ არ ვეხებით აქ იმ საკითხს, თუ როგორ
დაარსდა თვითონეულ ამ ქვეყანაში მეფის უფლება:
ამას ჩვენ ცალკე განვიხილავთ, ეხლა ჩვენ მხოლოდ
შეერთებულ საქართველოს მეფის უფლების ის-
ტორიის შესწავლა გვსურს.

ათ ამბავს: „გარდაიცვალა ბაგრატ რეგუნი ქათუელთა მეფე... და დაუტევა ძე თვისი უხუცესი გურგან, რომელსა უწოდეს მაფეთა მეფე... და ამას გურგენს ესვა ბაგრატ დედით აფხაზთა მეფისა დისწელი...: ვიღრე ბურგანის გამეფებამდე ესე ბაგრატ მეფე იქმნა აფხაზთა, და ამისთვის გურგენს მეფეთ მეფობა ეწოდა (შარიაშვილი დედ. ჭარ. გვ. 351-2). როდა მეფე გურგენი გარდაიცვალა და 1008 წელს იმისმა შეიძლება ბაგრატის მამის ტახტიც დაიმკვიდროს ამის შემდეგ იგი შეიქნა „მეფეთ მეფე, მეფე აფხაზთა და ქართუელთა“. ასე მოგვითხოვთ მემატიანე სუმბატ დავითის ძე, შაგრამ „ქართლის ცხოვრები“-დანა წანს, რამ ბაგრატის აფხაზეთში და ქართლში გამეფებაში „ზნაურებსაც სდებიათ წილი, მეტადრე შესანიშნავ მამულიშვილს ითანე მარუშანის, რომელსაც ეტუთხა დიდი დაწმილი მიუძღვის ქართლისა და აფხაზეთის გაერთიანებაში. „ქართლის ცხოვრება“-ში ნათქვამია: „განარევუნა ქვეუანა იგი და შეიცვალა უფლები წესი მისი და განგება შირვენელთა მეფეთა განწესებული და იყუნეს ყოველნი წარჩინებულნი მის ქვეყანისანი მწუხარებასა შინა დიდსა. მაშინ... ითანე მარუშისძემან ინება რათა მოიყვანოს ბაგრატ მეფელ აფხაზეთისა და მისთანა ყოველთა დიდებულთა ერისთავთა და აზნაურთა აფხაზეთისა და ქართლისათა გამოიხსოვეს ბაგრატ მეფედ“ (ჭარ. ცხ. ჭიმინაძეს გამოც.

301). ბაგრატი ქართლსა და აფხაზეთს არ და-
გმაყოფილდა; იმავე წელს იგი თავისი შეერთე-
ბულ სამეცნის ჯარით საჩქაროდ თანხეთში გა-
დაგვიდა და იქიდან კახეთს რბევა დაუწეო; და-
გით კახთა მეფებმ წინააღმდეგობა ვერ გაუწია
და ბაგრატმა კახეთი და ჭერეთი დაიპურო (ქრ.
ცხ. გ. ჭიჭიაძის გამ. 305); ამის შემდეგ
იგი გახდა „მეფეთა მეფე, მეფე აფხაზთა, ქა-
რთულთა, კახთა და ოანთა“. ახლად შემოქა-
თებულ ქვეყანაში ბაგრატმა ერისთავად აბულა-
ლი დანიშნა, თითონ-კი თავის საქმეებს დაუბ-
რუნდა (ქრ. ცხ. ibid. 305). თავის სამოლო-
ბელოს გასაფართოებლად და ქართველ მოდგმის
ტომების შესაერთოებლად იგი არაფერს არა ზო-
გადა, არავის არ დაინდობდა ხოლო. მაგალი-
თად ბაგრატმა თავის მამილაშვილების, კლარჯე-
თის მოლობელთა საბრძანებელის ჩელში ჩაგ-
დების გულისათვის, მასპინძლებისა და სტუ-
მანთმოცვარების წმინდა მოვალეობაც-კი დაი-
გიწეა და საზარელი ცბიერება და საფერაგე გა-
მოაჩინა. „ბაგრატმა მოიუეანა, მოგვითხობის
მემატიანე, კლარჯენი ხელმწიფოში: სუმბატ და
გურგენ, ძენი არტანუჯელისანი, თვისნი მამის
დისწელისანი, დარბაზობად მის წინაშე ცი-
ხესა შინა ფანასკერტისასა და მუნშინა შეი-
პყრნა იგინი და აღისუნა ქვეყანანი და ცი-
ხენი მათნი, რამეთუ იგინი პატიმარ ყუნა
ციხესა შივა თმოგვისასა და მუნ ციხესა ში-
ნა თმოგვისასა გარდაიცვალა სუმბატ არტა-

ნუჯილი და ოგრეთვე მასვე წელსა შინა გუ-
რგენტა გარდაიცვალა ძმა სუშიარის...
და მათნივე შვილნი კლარჯთა მეფე-
თანი, რომელ დაშითეს ამათ ქვეყანასა, მო-
სრნეს ყოველნი სიკუდილითა პატიმრობასა
შინა“ (მარიამ ღერ. ვარ. 353). ასეთის
უფლობელიდათა და გულშევაზეთ იმსხვერპლა
ამოდენა მახლობელ ნათესავების სიცოცხლე სა-
ხელმწიფოს გაფართოებისა და ერთს გაერთია-
ნების გულისათვის მეფე ბაგრატიშა.

აკი თავის გულასნაღები აისრულა კიდენც; მეფე
გაძლიერდა, დიდ საპრძანებლის ბატონად გახდა
და მოსაზღვრე სახელმწიფოებზედაც ძლიერი გა-
ვლენა ჰქონდა. ბაგრატიონთა გვარის მემატიანე
ამ მხნე და გაბედულ მეფეზე ცოტა არ იყოს
გაზიადებით ამბობს: „დაიპურა ყოველი კავ-
კასია თვითმყრობელობით ჭიქეთიდან ვიდრე
გურგანამდე, ხოლო ადარბაგანი და შირვანი
მოსარევა უფ, სომხითის სელმწიფებითა ნე-
ბიერად განაგებდა, მეფე სპარსთა თვის მე-
გობრად და ერთგულ უფ სიბრძნითა და ძლიე-
რებითა თვისითა უფროს სახლეულთა თვისთასა“...
(ibid. 352).

ასე შესერთა სახელოვანმა სელმწიფემ ერთ-
დროს განცალკევებული და ზოგჯერ ურთიერთის
მოწინააღმდეგ ქართველ მოდგმის ტომების
სამეფოები. ასე შესთხვა და თამარდა აგრედგე
ქართველ მეფეთა ჩვეულებრივი სახელწილება
„მეფეთა მეფე, მეფე აფხაზთა, ქართველთა,

რანთა და კახთა“ და სხვა და სხვა. ამ სახელ-
წიფებაში საუცხოვდ გამოიხატება საქართვე-
ლოს თანდათანი გაერთიანების ისტორია და ის
ნიადაგი, ის საფუძველი, რომელზედაც საქართ-
ველის ხელმწიფოს უფლება იყო დამუარებული.
ეს ნიადაგი და საფუძველი „ღია მარიამის და
ტომების განცალკევება და კერძოდა გახ-
ლავთ. საქართველოს სამეფო გვარ მაშინაც-კა,
როდა მთელი კავკასია მას დაპყრობილი ჰქონდა,
შეერთებულ, ეროვნულ სახელმწიფოს მიმდ-
ნებლად ითვლებოდა და სამეფო საუდარი თბი-
ლისში იყო გაღმილანილი, მაშინაც-კა მათ სა-
ზოგადოდ „აფხაზთა მეფებს“ ეძახდნენ;
ასე უძინას მათ, სხვათა შორის არაბებისა და
სპარსელების ისტორიულსებიც. ეტება, მაშინ-
დედ საზოგადოებას კარგად ახსოვდა, რომ
თავდაპირველად საქართველოს მეფები მხა-
ლიდ აფხაზთა მეფები ბრძანდებოდნენ. წარ-
მოიდგინეთ, მეთორმეტე საჭარის უმაღლესმა
სახელმწიფო ძლიერებამა და შოლომი გრი-
ხანგრძლივმა ერთობამაც-კა შენ „გაუქარწელა
სამუდამოდ სათემო განცალკევებისადმი მიღწე-
კილება, დორ გამოშევებით ამ გვარი კერძობის
გრძნობა და პროვინციალურ განცალკევების წა-
დილი თავს ამოცებულდა და თავისს გესლიან
ნაუთს გამოიტანდა ხოლმე. ქართველმა ერმა
თავის სანგრძლივ ისტორიულ ცხოვრების გან-
მავლობაში დიდი ძალაზე შეალია ამ განცალ-
კევების წინააღმდეგ ბრძოლის დროს. დასაც

უნაუოფლდ არ ჩაუდია ამ სახელთვან მთლია-
წეობას, ბეჭრს მამული შვილს უმუშავნია თაგ-
გამოდებითა და ღრმა სიუფარულით გამსჭი-
ჭალს, რომ თანამოძმების კულტურა თვით-
შემეცნება გაედვიძებინა და მკვიდრ ნიადაგზე
დაემუარებინა. ამ საკითხის შესწავლა ჩვენ
ეხლანდელ გელეგის საგანს არ შეეხება შირ-
და შირ და ამის გამო აქ ამაზე ჯაპარაკი არ
დავიწეუბო; მით უმეტეს, რომ ამ საკითხის
შესახებ ჩვენ ასლკე გამოგვლევა („ეროვნულ
თვით შემეცნების ისტორია საქართველოში“)
გრაქეს ღამზაღებულია.

ეხლა-კი, აღმრულ თემისათვის სწორედ ამ
პროგინციალურ განცალკევების მიღრეკილების
შესწავლაა საჭირო. საკმარისა გავიხსენოთ რა
მედგარ წინაღმდეგობას უწევდა კახელობა სა-
ქართველოს მეფეებს, მთას გაერთანების წა-
ლივის განხორციელების ღრცეს, რომ თვალწინ
განკერძოების მიღრეკილების ძლიერება ნათლად
წარმოგვიდგეს; გარდაიცვალა თუ არა 1012
წელს ბაგრატ მეფე და ტახტზე მისი მცირე
წლივანი შვილი გიორგი ავიდა, მაშინვე „განდგა
ამას ქვეუანასა ჰერეო-კახეთისა (მჭირავნი) და
დაღრიბითა აზნაურთა შეპერდიბილ იქმნეს
ერისთავნი; მათ ქვეუანდ კუალადვე ეუფლენეს
მათნი უფალნი, რომელთა შირველ აქვნდა
იგი“ (შარამ დედ. ვარ. 353—4). ჰერეთკახე-
თის აზნაურისამ ეტება ვერ შეიგნო, რა
დაადი მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენის ეროვნების

ძლიერებისათვის საქართველოს გაერთიანებას, და თავისთვის განცალკევებს ირჩია. მეფე ისა ღლავს გაწუვეტილი და შევიწროებული იურ ბიზანტიის კეისრისაგან, რომ ჭერეთ-კახეთის დაბრუნებისათვის არა სცალდდა. ეს თანავე შევევანა მეფე ბაგრატ მე-IV-ის თაოსაც ცალკე სამეფოს შეაღენდა; ბაგრატი იმისიც კრისტიანული იურ, რომ თბილისის ადების შემდეგ „მოვიდეს კახთა მეფე გაგიპ და ერისთავთ ერისთავი გოდერძი და უფლები დადებული კახეთისანი დარბაზობად ბაგრატ მეფისა წინაშე და მშევიდობისა ქებნად“ (ქრ. ცხ. 326). სანამ დავით აღმაშენებელმა ჭერეთ-კახეთი არ შემოუერთა დანარჩენ საქართველოს, მანამდისინ ცალკე დამოუკიდებელ სამოქალაბელოს შეადგენდა, ასეგვარად წევნა გხედვო, რომ, თუმცა ქართველ ტომების სხვა და სხვა პატარა სამეურნეო თანდათან შეერთდნენ, მაგრამ ეს გაერთიანება მტკიცე და მკვიდრ ნიადაგზე გერ იურ დამუარებული. როცა საქართველოს მეფე რომელიმე ასალ სამოქალაბელოს შემოუერთებდა ხლომე თავის საბრძანებელს, იგი შეიერთდ ქვეუანაში მართვა-გამგების წესი სრულებით არ ეხებოდა და უფრო ხშირად უველავერს წინანდებურად სტაგებდა ხლომე;. განსხვავება მსოფლიდ იმაში მდგრმარეობდა, რომ ადგისამბრივ მეფის მაგიერ საქართველოს ხელმწიფე ხდებოდა ქვეუანის ბატონად, ზოგჯერ კადგენ წინანდებ ერისთავთ ერისათვის მაგიერ ასალ ხელისუფლსა ნიშნავ-

და სოლმე საქართველოს მეფე, ასე მოიქცა, მაგალითად, ბაგრატ მე-III, კახეთი რომ დაი-კინა და თავის საპრძანებელს შემოუერთა. ერ-თი სიტყვით, მაშინ გამგე პირებსა სცვლილნენ სოლმე, და გამგების წელილება თითქმის არც როდის ხელს არ მიაკარებდნენ სოლმე. იშვი-ლროს ჯერ კიდევ კარგად შეგნებული არა ჭირ-დათ, თუ რამდენად საჭიროა ერის გაერთიანე-ბისათვის, რომ მოელ საშეფლაში თანაბარა და ერთნაირი დაწესებულება სულევდეს ხელმე; ამას ცხადად შემდეგ მაგალითიდანაც დაინახავს ადა-მიანი; როცა დავით აღმაშენებელმა თბილისი და მისი მიღამოვბი თავის საპრძანებელს შემო-უერთა, მან „თბილისისა და ქართლის აშინა“ - კანამდებობა არ გააუქმა, არც მის შემდგომად მეოთხ მეზეებს შოუსპიათ ეს მოხელეობა, თუმ-ცა ამ თანამდებობის არსებობას მაშინ, როცა დედა-ქალაქი საქართველოს კვლავინდებურად და-უბრუნდა, ადარავითარი მნიშვნელობა არა ჭირ-და, იმინტომ რომ საქართველოში უძველესს ღრმილი ქართლის ერისთავთ ერისთავის თა-ნამდებობა არსებობდა და მეორე მოხელე იმავ ადგილის გამგედ, რასაკვირველია, სრულებით საჭირო არ იყო. მაკრამ ამისდა მიუხედავად, ქართლის აშირებისაც ქართლის ერისკთაობაც კვლა-ვინდებურად არსებობდა და ისედაც რთულ სა-ხელმწიფო მართვა-გამზებობას უფრო მეტად აძნელებდა.

თვით გაერთიანებულ სახელმწიფოს წეს-წელ-ბილებასაც ცხადად ეტუნებოდა სათემო განცალ-

კევება. ადამიანს ეგონება პირველის შეხედგით
საქართველო თითქმის გარეგნობით არას შეერ-
თებულით, იგი „სამეფოები“-საგან შესდგე-
ბოდა; მაგ. დაყით ადმაშენებელზე მეშატიანე
მოგვითხრობს: „აქვნდა უფლით კერძა მშვი-
ლობა და დაწენარება სამეფოთა მისთა“-თ (ჭარ.
ცხ. 379); ამავე ხელმწიფოს პირუთვნელობას
იგივე ავტორი ამნაირად ახასიათებს: „ვითარება
ღმერთი ჭრულიდა სამეფოთა თვისათა“-თ (ibid
371), მაგრამ „სლევასა შინა თვისთა სამეფოთასა
სიმრავლით სპათათა... ვერ ადვიალად მიემთხვეოდ-
დიან მომჩინარნი“-თ (ibid. 373); თამარ მე-
ფის მამის შესახებ „ქართლის ცხოვრებაში ნა-
თქვამია, რომ მან „იშურნა მეფობისა შარავან-
დები შვილ სამეფოდ განწესებული“ (ibid.
385); თამარ მეფის მამის სიკვდილის შემდეგ
მეშატიანეს სიტუაციისამებრ „შემოკბა შვილ-
თავე სამეფოთა დიდებული“ (ibid. 401) და
სხვა და სხვა. უკეთა ზემო მოავანილ მაკალი-
თებიდანა ჩანს, რომ მაშინდელ შეხედულობის
თანახმად სამეფოები ჯერ ისევ არსებობდნენ,
თუმცა ისინი უვილა ერთ ხელმწიფების ემორჩი-
ლებოდნენ; უკრადდების დარსა, რომ ისტო-
რიკისი ზემო „ჩამოთვლილ შემთხვევებში მხო-
ლობით რიცხვს-კი არ ხმარობს, არამედ მრავ-
ლობითს, იგი უფლითვის ამბობს ხლომე სამე-
ფონით, შვილი სამეფოთ, და არ სამეფო. ერ-
თი სიტუაცია, საქართველოს სახელმწიფო ცხოვ-
რებაში ცალკე სამეფოები კალინდებულად ცო-

ცხლობიდნენ. ოდი ეს მართალია და გაერთიანებულ საქართველოს სახელმწიფო წევზაბილება ადგილობრივ და სათემო განცალკევების პრინციპზე იყო დამტკრებული და მემატიანეს მიერ ნახმარი „სამეცნიო“ მაშინელ ცხვრების ვითარების ჟეშმარიოტი გამომხატველია, აღვისულ და გრწმუნდებით მაშინვე. ოთრა იმ ღრთის სახელმწიფო მართვა-გამგების წეს-რიგს გავითვალისწინებთ. დავით აღმაშენებლის ღრთიდან მთელებული თამარის სიკვდილამდე, ე. ი. ჩვენი სამშობლის ერთობისა და ძლიერების უწყვერვალეს ხანაში, საქართველოს თვითონარებულ „სამეცნიერო“ ცალ-ცალკე განაგებდნენ ხოლმე საქმეებს და არა ერთად, ე. ი. მართვა-გამგების საუწყევო ბო პრინციპზე კი არ იყო დამტკრებული, არამედ სათემო პრინციპზე. მეცე ერთ „სამეცნიეროან“ შეთროვ „სამეცნიერო“, ანუ ახლო-მახლო აღგილას გადადიოდა ხოლმე და უკეთა საქმეებს აღგილობრივ ისმენდა და განაგებდა ხოლმე. პ. გ. ბაგრატ III-ის შესახებ მემატიანე მოგვითხრობს: „იყო... ძლიერს და განაგებდა საქმეთა ტახისე და ქართლისასათ“ (ქარ. ცხ. 304); დავით აღმაშენებელზე ნათქვამია: „ჩავიდა აფხაზეთს ბიჭვინტამდე და განაგნა საქმენი მანდაურნიო“ (ibid. 361). შემდეგ მეტე სთველთა „გარდავიდა გეგუთს... განაგო მანდაური ყოველი“ (ibid. 365). ოთრა დავით აღმაშენებელმა ახლად დაპურობილ შირვნის საქმეების მთწესრიგებისაგან მოიცალა, იგი „მოვიდა ქარ-

თლად და განაგო ყოველი საქმე ქართლისა, სომხითისა (ibid. 366). თაშარის დროსაც-კი ამ გვარის წესი იყო მიღებული: უფას გადვიდიან, მოგვითხრობს ისტორიულის, (იმერეთს) და განაგნიან საქმენი მანდაურნი... და მერე გალმოვიდიან ქართლს, სომხითს და მერმე დადგიან, მოვიდიან ხარაჯითა განძელნი და რელთაშარ ქალაქელნი (ქარ. ცხ.-ში შეცდოშით „ადმართქალაქნია), გაზაფხულ აღმოვიდიან სომხოთი, მოილიან ხარაჯა ნახპევნელთა, — და წარვიდიან კოლის, თაფსა არტანისასა და მუნიც მოილიან ხარაჯი კარნუქალაქით და ეტჩინიკით და სხვათა გარემოთა ქალაქთაო“ (ibid. 374). ერთი სიტუაცით, ჩვენა ვხედავთ, რომ საქმეების მისაწესრიგებლად მცხვდრებნი კი არ წადითდნენ თითონ სატახტო ქალაქში, ან არა და ხარაჯას სამეფო მთხელეებით-კი არა ჟერეზდნენ ადგილობრივ და მერე ითონა გზავნიდნენ სახელმწიფო საკუთხელება, არამედ შეტე თითონ მიდითდა და ადგილობრივ არჩევდა ხლომე საქმეებს, ხარაჯასაც მკვიდრნი იქნება ადგილობრივ მთართმევდნენ ხლომე მეფეს, თითქას სახელმწიფო ცალ-ცალკე სამეფოებისაგან იყოსთ შემდგარი. ამ გზარად საისტო-რიც წყაროები გვიჩვენებენ, რომ საქართველოს მეფის სახელწიდება „მეფეთ მეფე, მეფე აფხაზთა, ქართულთა. კახთა და რანთა“ სა-ქართველოს წარმომადგენლოვან წესწერის მცხოვრის გვალების ტვერი საყოველო რეალური მნიშვნელობა კართველობასა

თავი მეორე

წინა წერილში გეცადეთ გამოგენერაცია, თუ როგორ განახლდა საქართველოს მეფის უფლება, რომელიც კრისტიანობის ნიადაგზე აღმოცენდა, და როგორ შეერთდნენ განცალკევის უფლება და სხვა და სხვა ქართველ მოდგმის ცრიმოს სამეფოები. ამ გვარად გამოირკვა, როგორ შესდგა ის მეფის სახელწოდება, რომელიც მრავალ საუკუნეთა განმავლობაში თვითეულ მეფის მიერ ნაბოძებ სიგელს ამშვენებდა ხალმე. ჩვენ დავინახეთ აგრეთვე, რომ ის პოლიტიკური პირიბები, რომელთა წეალიბითაც მეფის ზემოადნიშნული სახელწოდება დაიბადა შემდეგშიაც, სამეფოს უმაღლესის ძლიერების დროსაც-კი, რხევრებამ უერ მისმო და უერ გააქარწიება; ამის გამო უეტის სახელწოდებას რეალური მნიშვნელობა არც როდის არ დაჭრარგვია. ცხადა, რაც უფრო მეტად გაიზრდებოდა და გათართვებოდა ქართველ მეფეების სასირბანებელი, მით უფრო მეტად საჭირო იქმნებოდა მათთვის მეფობის უფლებისათვის მტკიცი და შეურუებელი ნიადაც მოეცნებინათ, იმატრემ რომ ქართველი მეფეები, როგორც ქვემოდ დავინახათ, თავიანთ ძლიერებისა და უფლების დასამეცარებლად აზნაურებს ებრძოდნენ ხალმე. რაში ჩდგრძმარებადა ეს ბრძოლა, როგორ მიმდანარებოდა იგი და ვის გაუდინა ბეღმა ამ შეტრაქებაში, ამაზე დაწყო-

დებით ქვემოდ იქნება ლაპარაკი. ესლა საჭი-
რთა აღვნიშნოთ მხელურდ, რომ ამ გამწიფავი-
ბულ ბრძოლის მოსაგაბად მარტი მელავ-ხმელის
ძალა არა კმარდა. ქართველ მეოფებს გარგად
ესმოდათ, რომ აიისთვის აუცილებლად საჭირო
იყო ზნეობრივი ძალაც. რაში მდგრმარეობდა
შერე ეს ზნეობრივი ძალა? ბრძოლის გასააღვი-
ჯებლად საჭირო იყო, რომ მეტობის უფლების
არსებობის აუცილებლობა და სარწმუნობრივი
მნიშვნელობა დაესაბუთებინა. ეს კი არც თუ
ძალიან ძნელი საქმე იყო: ახალ აღთქმაში ამის
შესახებ საუცხოვო წინადაღება მოიპოვება, პა-
ვლე მოციქულის ეპისტოლეში სახელდობრ.

ამ მოციქულის სიტუაციის თანახმად, ბრძო-
ლის დროს ბერ-მონაზონები მეოუეს მხარს
შეტერდნენ ხლომე და ეხმარებოდნენ ხან საქმით
ხან კიდევ სულიერ გავლენით. ტაფ-კლარჯეთის
ბაგრატიონთა გვარის ერისთავების დროსაც-კი
მთავრობის პატივისცემა ღვთისნიერ საქმედ
იყო ადარებული. აი რა სიტუაციით დალოცა
კლარჯეთის მონასტრების დადმა არქიმანიდრიტ-
მა გრიგოლ ხანძთელმა „შოტ კუროპალატის
შეიღული: გაკურთხენ უფლენი პარმა!“ ქრის-
ტესმან და უოველთა წიადათამან: რამეთუ ჭე-
შმარილად სამართალ არს სიტუა ესტ: „საღა
არს პატივი მთავრობისა, მუნ არს მსგავსება
ლმერთებისაც“, რამეთუ თქუენ ხელმწიფენი
უფალ გუვნა ლმერთმან ქუმანისა განგები-
სა“. (ნ. შარქის ვამოციქულის ცხოვრება გრიგოლ

ხანძთ. Тексты разыск. №860 VII). მაშა-
სადამე გრიგოლის აზრით, საცა მთავრობას
პატიგის სცემდნენ, იქ სუფერდა დვთაების
მსგავსება; თგით ზეციერშა მამამ გრახადა ხელ-
მწიფენი ქვეუნის გამგეებად; ამის გამო მეფე-
ები უნდა უდიდესი უფრო და უფრო მეფეების „ნებითა
დვთისათა“; სწორედ ასეთ წინადაღებას ხმა-
რობდნენ ხოლმე ქართული მეფეებიც, მაგა-
ლიც გიორგი მეფე თავის შიო მდგიმესა-
რში ნაბოძებ სიგელს ასე იწყობს: „ნებითა
დვთისათა აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა
და სომებთა მეფისა“ (1088 წ. სიგელი, შიო
შვ. ისტ. საბ. გვ. 13); დავით ადმაშენებელი
თავის წელის წარმომადის ასეთისავე წინადაღებით
იწევებს: „ნებითა დვთისათა აფხაზთა, ქართვე-
ლთა, რანთა და კახთა მეფისა“ (ibid).

მაკრამ ჩვენმა მცირებმა ეს არ იგმარეს და
თავიანთ უფლებას დვთაებრივ ძალის მიზარეუ-
ლობა და ხელმძღვანელობა მოუპოვეს; საუ-
რადლებოა ამ მხრივ ის, რას ამბობს: და-
ვით ადამიერებელი თავის უნდერძმი; „თვით
იგი, ბრძანებს სახელოვანი მეფე, თდეს მარ-
წმუნა მის მიერ განგებულსა მეფობასა,
თვისითა რათამე განგებითა არა უდირსმე-
ნელმან შარავანდსა შინა პატიოსანსა უპატოები-
სა ჩემისამან აქათგანვე აღილო ხელი სიტკბო-
ებითა თვისითა განძლებად ჩემდა და თვით
მეფე მეფეთად იქმოდა საკირველთა უკი-
რველად: ცხადთა წინააღმდეგომთა გამგეო-

გისა თვისისათა მისცემდა მოსასრუელად“ (შიდ. მდ. ისტ. საბ. გვ. 15). ამ საუკუნად-
დებო წინადადებიდან ცხადად შეიძლება და-
ნახოს მკითხველმა, რამდენად დარწმუნებული
იყო დავით აღმაშენებელი, რომ მეფის უფლე-
ბა თვით დმიერობა ჰირადად „არწმუნა“ მას,
რომ ეს მეფის უფლება „მის მიერ“, ე. ი.
დათის მიერ, განგებული და დაუუმნებული იყო
მაგრამ ამას კიდევ არა უჭირს-რა; იგივე ამ-
ტკიცუებდა, რომ საქართველოს მართვა-გამგეობა-
ში მას თათვის დათავება ესმარება ხლოშე, რომ
თვით მეფე მეფეთად იქმოდა საჭიროებით
უჭირველად და მეფის გამგეობის წი-
ნინაადმდგრმთა ანუ იმის მტრებს მისცემდა-
ხლოშე მას „მოსასრუელად“. იმიტომ რომ
თუმცა სამეფოს ხორციელად დავით აღმაშენებე-
ლი ჭმართავდა, მაგრამ უხილავად იმ ძნელ
საჭმეში მას თვით ღმერთი უძღვდა ხლოშე
წინ; მაშასადამე საქართველოს გამხეობა დმიერთს.
გვი ეკუთვნიდა; სწორედ ამის გამო ამბობდა
კიდევ ჩვენი სახელთვანი ხელმწიფე „ცხადთა
წინაადმდგრმთა გამგეობასა თვისისათა“ დ, ე. ი.
დათის გამგეობის წინაადმდგრმთა. ამ გვარად
ვინც მეფის გამგეობის წინაადმდგრმი იყო
ის დათის წინაადმდებეგ მადიდა, თვით ზე-
ცირენ მეუფის მტერი გახდათ. ასე ფი-
ქრობდა, ამას ასტრიციებდა დავით აღმაშე-
ნებელი. მაშასადამე. საქართველოს მეფის
გამგეობა დათისმიერი გამგეობა იყო. ასეთ

შეხედულობის შემდეგ მოსალოდნელიც იყო, რომ საქართველოს მეფის პირადობა ღვთაებრივ ბუნების ჰატრინად, თვით ღვთაებად აღიარებინათ. ზემომცეკვანილ დავით აღმშენებელის სიტუაციის შემდეგ, რასაკვირვებია, მკითხველის უკრთა სმენას ისე ადარ ესამუშება და არც ძალან გაორდება, როდა შეწიგნობართ უხსოვესოსასა და ვაჭირ ანტონ ჭყაფნდიდელის სიტუაციის წარვითხავს „ლვთისა სწორსა მეფეთ მეფესა თამარს შეგეხვეწილ (სიგელი 1202 წ., შიომღ. ისტ. საბ, გვ. 27). საქართველოს მეფე „ღვთისა სწორი“, „სამებისაგან ოთხად თანააღზავებული“ იყო, როგორც თამარ მეფის ისტორიკოსი ამტკიცებს (მართა დედ. გარიანტი, ე. თავაძევილის გამოცემა, გვ. 363), ე. ი. სამებასთან მეოთხე სახედ, მეოთხე ღვთაებად აღზავებული, „ერთი სამებისაგანი აქა კულა სამებისათანა იხილვების თამარ მოსწორებული და აღმატებული“ (ibid. 398), როგორც იგივე მემატიანე ამბობს თავის თხზულებაში. შესანიშნავი მეხორბე ჩახსუხაძე ამბობს, მინდა „დაუსაბამო თამარ გსტევა ნათლად და ძელა მისად.“

მზეებრ საგანე, სულის საგანე, თანგიმწყოლ ძისა, სწორად მამისად“.

(პროფ. ნ. მარქის გამოც. თეკсты და რაციონ. IV წიგნ. გვ. შვ.). ერთი სიტუაციით ჩვენა ვხედავთ, რომ საქართველოს მეფის პიროვნება მთავრობის მომსრე

წრეებმა გააღმერთეს, ხოლო მის უფლებას ზეციური ქალიქება და უცოდველობის თვისება მიანიჭეს. რაკი საქართველოს ხელმწიფობი და მათი თანამთაზრენი ასეთ შეხედულობას დაადგნენ, ცხადია ისინი თავიანთ თავს სრულს თვითმმართებელებად ჩასთვლიდნენ და კიასრობის ძლიერების მოხვეჭას მოინდიბონენ. სწორედ ასეც გახლავთ კიდეც. უგვე 1082 წელს შიომღვიმისადმი ნაბოძებ წეალობის წიგნში, გიორგი II თავის თავს „უფლისა აღმისავლეთისა და დასაულეთისა თვითმპურობელად“ აღიარებს (შიომღ. ისტ. საბ.).

თავი შესამე

ეს თვითმპურობელობა და ღვთისწებითობა მეფეებისა და მთავრობის მომსრეთა დასის ძლეალი და მისწრაფება იულ, გილოე სახელმწიფო ცხოვრების უტეუარი მოვლენა. ქვემოდ გნახავთ ჩვენ, რომ საქართველოს მეფეები ხშირად ისე შევიწროებული იუგნენ ხლომე დადებულ აზნაურებისაგან, რომ არც თვითმპურობელის უფლება ჰქონდათ შერჩენილი, არც „ნებითა ღვთისათა“ პრძანდებოდნენ სახელმწიფოს პატიონად. გილოე ჩვენ საქართველოს მეფის უფლების გამორკვევას შეუდგებოდეთ, აუცილებლად საჭიროა გაკვრით მაინც სიტუაცია ჩამოვაგდოთ იმ უმთავრესს საზოგადოებრივ დაწესებულებაზე, რომელზედაც საქართველოს წეს-

წევობილება დამუარებული იყო. ეს დაწესებულება — პატრიკიუმითა გახდავთ, ის პატრიკიუმითა, რომელიც შემდეგ პატრიკიუმითა და გადაქცა. პატრიკიუმითა მთელ სახელმწიფო და კურძა ცხვერებას თავისებულს მიმართულებისა და ეჭვერს აძლევდა სიტუა „პატრიკინი“ ქართული არა არის და რომაელების ენისა და სამართლის საკუთრებას შეადგინს.

ჩვენი სიტუა „პატრიკინი“ რომაელების patronus'-ი არის. იტალიაში პატრიკის სახელს ისახა გავალენიან და შეძლებულ ამიანს ღარეშევდნენ ხდება, რომელსაც წევობი ერთ, მდაბილ ხალხი სასამართლოში მთარეველობისა და გადასახადებისაგან თავის დადწევის გულისათვის მიმერთავდა და თავის მამულს გადასცემდა ხდება. ეს „პატრიკინი“ მამულის მთვლობელებს წევის აძლევდა თავიანთი მიწებით გვლავინდებულად ესარგებლნათ, მხდალოდ კრიზისიდ მამული უგვია იმ „პატრიკინის“ საკუთრებად ითვლებოდა, ამისთანა პატრიკინის რომაელები fundorum partocinia'-ს ეძახდნენ. სალვიანე მარსელიიელი, მე-IV საუკ. მწერალი, ასე გვისარავს მამინდებულ „პატრიკინის“-ის სურათს. წევობი ერთ ერთ. მთარეველობისა და დახმარების გულისათვის დადებულებს მიანდობდნენ თავის თავს; გვიანი, რომელიც მთარეველობას უძებენ. მთელ თავიანთ ქანებას ვიღრე მთარეველობის მიღებდნენ, თავიანთ „პატრიკინებს“ განუთვისებენ (გადასცემენ) ხდება; ამგვარად, იმის

გულისათვის, ოთმ შამებმა მფარველობა ჰქონდა, შეიძლება შემკვიდრეობასა ჲკრგავენ... ასეთია დიღებულთა შეესა და პატრიციანობათ“, Migne, Patrologia Lat. LIII, 202) დასძენს საფილიანე. ეს ოთმანების საზოგადოებრივი დაწესებულება ფრანგებმა და გერმანელებმაც შეითვისეს. უძველესი ღრცე, მე-IX,-X საუკუნეებში საქართველოში სიტუაცია „პატრიციანი“ სრულებით არა ხმარობდნენ; არც ერთ ჩვენ მწერლების ძეგლში იყო იმ ხანაზე აღნე ან მოეპოვება. ცხადია, მაშასადამე, ოთმ ეს სიტუაცია დასავლეთიდან უნდა იყოს შემოტანილი; მხოლოდ საიდან სახელმძღვანელო—ამ საკითხის გადაწყვეტა თითქმის შეუძლებელია. პირდაპირ ოთმიდან, ან ფრანგებისა და გერმანელებისაგან ხომ ვერ შეითვისებდნენ ქართველები ამ დაწესებულებას. მეტად დიდი ზღვარი ძეგს ჩვენსა და იმ ქვეუჩების შორის. რასაკვირველია, დასავლეთით საქართველოზე უვალა ქვეყანაზე უფრო მასლობელი ბაზანტია იყო; მაგრამ იქ ეს საზოგადოებრივი დაწესებულება ისე გაბატონებული იყო, როგორც, მაგალითად, ოთმში, საფრანგეთში, გერმანიაში და თვით საქართველოშიაც. ბაზანტიაში მფარველობას მონასტრები ექვებდნენ ხლომე განსაკუთრებით; შეეფარებოდნენ ოთმელიმე გავლენას პირის და თავიანთ მამულების საკუთრების უფლებას მათ დაუთმობდნენ ხლომე. მაგრამ საკითხის გადაწყვეტა საშინალებელი იმის გამო, ოთმ თვით

ბაზანტიულებით ამ გვარ მონასტრის შეფარვების „პატრიარქის“ კი არ ეძახდნენ, არამედ „ხარის-ტიკარის“; სიტყვას „პატრიარქი“ კამდენადაც წევნ ვიცით, ბაზანტიაში არა ხმარობდნენ. რა-კი ეს საქართველოს „პატრიარქი-უმთხბას“ ღაწე-სებულების უმთხოვესად გამომხსარველი სიტყვა ბაზანტიაში გავრცელებული არ იყო, მკვლევარს ამის გამო არ შეუძლიან იმ დასკვნას შემსროს, ვითომც პატრიარქუმთა ბაზანტიის ზედგავლენის წევალობით გაჩენილიყოს საქართველოში. მართა-ლია, პირადად რომაელებსაცა ჭერით განვისა საქართველოზე, ჩენი სამშობლის ერთ დროს მათ მოყრებილობის ქვეშე იმუთვებოდა, მაგრამ ეს დიდი ხნის (1 ს. ქრისტეს წინ და 1 ს. ქრისტ. შემდეგ) ამბავია, სიტყვა „პატრიარქი“, როგორც ზემოთ მოხსენებული იყო, მხოლოდ მე-IX, X საუკ. გრაფელდება ქართულ მწერლო-ბაში. ამგვარად საკითხი გამოურკვევება გვიჩე-ბა; დანამდგომებით მხოლოდ იმის თქმა შეიძ-ლება, რომ სიტყვა „პატრიარქი“ რომაელების ენასა და სამართალის ეკუთვნის და მე-IX საუ-კუნემდე ქართულ მწერლობას ნაშებში სრუ-ლებით არ მოიმოვება.

ვის ეძახდნენ მერე მაშინდელ საქართველოში „პატრიარქის“ სახელს? პატრიარქი ნიშნავდა კერ-ძა მესაკუთრეს და მთლიანებულს, მაგ. მიქელ მემდევიმე, რომელმაც თავის მამულში ციხე ააშე-ნა, თავის თავს ამ ციხის „პატრიარქი“-ადა-სთვლის (შიომიდ. ისტ.საბ. გგ. 2). კერძო

მფლობელისავე შინუნელის აქვს ამ სიტყვას
შინოდებიმის 1250—60 წ. სიგელში, სადაც
„მიწის პატრონი“-ა მისესენებული (შინოდ.
ასტ. საბ. 60). „ქართლის ცხვერება“-შიც
აღნიშნულია „აბუსერი... ლიხისჯვარისა და აწ-
უგერისა კიხისა პატრონი... გვარამ გოდან-
ძისძე ბეჭის კახის პატრონი“ (ზ. ჭიჭინძეს
აამოც. 326). თამარ შეფის შემსრიანე სახე-
ლოვან დედოფლის შესახებ ამბობს „პატრონ-
მან ხმელთამან და ზღვისამან“-ო. სიტყვა
„პატრონი“ ნიშნავდა აგრეთვე შეფარველს,
შზრუნველს, პირად პატრონს, შაგ. ატენის ტაძრის
მე-XI საუკ. წარწერაში ნათქვამა: „ძლიერმან
შეფეხ შეფეხმან ბაგრატ უბრძანეს შიწასა მაოსა
მირიანს, პატრონსა ჩემსა, სეფესზუანსა შიდა
ქალაქისა აშენებად... ავაშენეთ დარბაზი და ქა-
ლაქი. შეგვიწყალნა მეფისამან მათმან, სასახ-
ლენი ადგილი და საქულბაქენი მკვიდრად...
მირიანს და ყმათა მისთა... შეკწირე წმიდასა
სიცნისა ატენისასა... საჭოცველად... ჰეგიანმცა
უკუნისამდე ძლიერნი მეფეთა მეფე ბაგრატ სე-
ვასტონი და ეს მათი გიორგი კურაპალატი და
საჭოცველად მიწის მათისა გამზღვლისა პატ-
რონისა ჩემისათვის“ (Brosset, Voyage VI,
22). ამ წარწერაში, რასაკვიდეელია, პირად პატ-
რონისაზე, პირად დამოკიდებულებაზეა ლაპარა-
კი; ამას ამტკიცებს სიტყვები „გამზღვლისა
პატრონისა ჩემისათვის“. ეს წარწერავე გვიჩ-
ვენებს, რომ მამულის შემწირველი მირიანის

„ყმა“ უფლისა; ამნათოვე უმები მირახს, როგორც ეტეობა, რამიენიმე კადევ უნდა ჰერლიდა, ამიტომ იქნება წარწერაში ნათევამი „ყმათა მისთა“-თ, მრავლობითი რიცხვი და არა მსოფლიობითი. სიტუა „ყმა“, რომელსაც წერილში ამ გვარ პირად და უფლებრივ დამოკიდებულების აღსანიშნავად ხმარობრნენ ხლომე, წარმომდგარია სიტუაციისაგან „ურმა“, რომელიც ნიშნავს ბავშვს, ჭაბუკს. ეს სახელწილება გვიჩვენებს, რომ „უმების“ პირადი უფლებები უნდა შეზღუდული უფლისიყო. წარწერაში მოხსენებულ მირანსავით უველა შეძლებულ აზნაურებს უმები ჰერლიდათ ხლომე. მემატიანეს სიტუაციიდან ჩანს, რომ თმის დროს ამ პატრიონებს უმები ამალასავით თან ახლდნენ ხლომე; იხარებდეს, ამბობს მაგალითად იგი, „ვითარ მშენებლი... პატრიონი ყმისა და ყმა პატრიონისა“ (ქარ. ცხ. 389), ან კადევ „უსწრობდა პატრიონი ყმასა და ყმა პატრიონსა“ (ibid. 417). ერთი სიტუაცით მასაცებიდან ცხადადა ჩანს, რომ პატრიონებისა მაშინდელ საქართველოს სოციალურ და ქანებრივ წესწუთბილების გამომხსატველია.

მაგრამ იმავე ღროს „პატრიონებია“-ს სახელმწიობი წესწუთბილებაზედაც დიდი გავლენა პქნდა, სახელმწიობი წესწუთბილების გამომხსატველიც იყო. ეს იქადანა სჩანს, რომ სიტუა „პატრიონი“ მარტო კერძო მესაკუთრეს და მფარველს კი არა ნიშნავდა, ე. ი. შარტოცხლების სოციალურ და უფლებრივ განწევა-

ბილებათა დამახასიათებელი კი არ იყო, არა-
მეღ მეფესაც, ხელმწიფოსაც ნიშნავდა, მაგალ.
როცა მემატიანეს სურს გვაცნობოს, რომ
შწიგნობართ უხსოესი გილორი ჰუთნდიდეს
მეფე დავით :დამაშენებელთან იყო ერთად აღ-
ზრდიდა, იგი ამბობს: „თანააღზრდიდი პა-
ტრონთანაო“ (ქრ. ცხ. 358), ან არადა თა-
ნა აუდგა :ღზრდიდი სიერთოთაგანთა პატრონის
მსახურებათა“ (ქრ. ცხ. 359). მეორე ისტო-
რიკისირ „პატრონის“ მეფის შეგიერ ხშირადა
სმირნობს ხთლმე, მაგ. იგი მოგვითხრობს ძლევა-
მოსილ თამარ-მეფის დაშქანი ბრძოლის უკილისი
დაპრუნდა და „მოგიდეს წინაშე პატრონისა
დევთივ-განათლებელისა“ - და (ქრ. ცხ. 415). სხვა
ადგილას იგივე მემატიანე ამტკიცებს, რომ
„არცა ძველთა უამთა შინა და არჩა ახალთა სა-
დამე სმენილ არს, უკეთუ სადამე ქმნილ იყოს
ნებსით ანუ უნებლივეთი განდგომილება მეფეთა
დაწერილითგან სოფლისათ არა სადა გის უხილავს
თუმცა წარმართებოდეს, ანუ გამარჯვებოდეს
პატრონთა ზედაო“ (ქრ. ცხ. 427). უფელა
ზემო მოყვანილ და სხვა კიდევ მრავალ მაგა-
ლითებიდან, რომელთა ჩამოთვლა შორს წ.-
გვიუვანდა, ცხადადა ჩანს, რომ სიტუა „პა-
ტრონი“ მეფესაც ნიშნავდა. მაგრამ, როგორც
პატრონი ერთსა და იმავე ღრუბს მესაკუთრეს,
მფარგელს და მეფეს, ანუ ხელმწიფოეს ნიშნავ-
და, იავის მხრივ სიტუა „უმა“, ანუ „მოუმე“
კიეშევრდომის ნიშნავდა, თუნდა ეს ძვეშეუკრძა-

მით დიდებული აზნაური და მოხელე ბრძანებულიყო, მაგალითდაც, თამარ მეფის მემატიანე თამარის მომსრული დიდებულების შესახებ ამბობს: „მიერა ძლევა მოყვეთა თამარისათაც“ (ქარ. ცხ. 429). სხვა ადგილას ოგივე ავტორი მოგვითხოვს „მოყიდეს მოეგებნეს წინა ფანასკერტელი ზაქარია და ძინიელი, კალმახელი, ყმანი კარგი, პატრიონთაგან შეწყალებულნი-ო“ (ქარ. ცხ. 432). ცხადია, რომ თანდე შემთხვევაში უმანი, ანუ მოუმენი ქვეშევდომებსა ნიშნავენ, ე. ი სახელმწიფო ცხოვრების მოყვენას ახასიათებენ. რომ სიტუა „უმას“ „პატრიონი“-საფით პილიტიკური მნიშვნელობაც ჰქონდა და სახელმწიფო ცხოვრების დამკითხულებათა გამომხატველი იყო, ნათლად შეიძლება დავინახოთ შემდეგ გარემოებიდან: ჩვენი მემატიანენი ათაბაგსა და შირვანშაჟს, რომელიც საქართველოს მეფის შეარყელობის ქვეშ იმუოთებდნენ, თამარ მეფის „უმებს“ ეძახიან (ქრ. ცხ. 448). ამ შემთხვევაში სიტუა „უმა“ დასაჭლელ ეგრძობაში საშუალო საუკუნეების განმავლობაში ძალიან გავრცელიბულ სახელწიფდებას vassus, vassalus (ვასსუს, ვასსალუს) ეთანასწორება ამგვარად, უფრო საისტორიო საბუთებიდან ნათლადა მტკიცდება, რომ პატრიონუმობა ერთისა და იმავე დროს სოციალურ ცხოვრების დამახასიათებელი იყო, სახელმწიფო ცხოვრების წესწუთმიღებისაც: პატრიონი—მეფესაც ნიშნავდა, მესაკუთრეს,

მზრუნველისაც; — მოუმე, ანუ გრია — ქვეშეგრდომ-
საც და ერქმეთდა ხელმე უშასაც. ერთის სიტუაცია,
კერძო და სახელმწიფო ცხოვრების შოგლენანი
და ღაწესებულებანი ერთი ერთმანეთზე იყვნენ
გადაბმული და შედევრებული; თითქას სახელმ-
წიფო წესწეობილება საქართველოში კერძო
ცხოვრების განწეობილების „პატრიონუმიაბი“ სა-
გან უთვილიყოს წარმომდგარი. ერთ ღრცე
მაინც ჩვენი ქვეუნის ცხოვრების ღერძს სწო-
რედ ეს პატრიონუმიაბა შეადგინდა. ამ მხრივ
საეურადღებოა აშორი გურაპალატას მოქმე-
დება თავის ახალ სამიგლობელოში შავშეთ
კლარჯეთში; მემატიანე მოგვითხრობს, რომ
„ხევი შავშეთისა უშენებელ იურ მაშინ
გარეშე მრავალთა სოფელთასა, რამეთუ უამ-
თა სპარსთა უფლობისასა ათხრდა... კვალად
შემდგომად მისსა სლვამან სალმიობისამან მოათხ-
რა შავშეთი და ჯლარჯეთი და მცირედლა დაშონეს
კატინი ადგან ადგილ ხოლო და მთომილთა მათ-
მკვიდრთა შავშეთისათა შეიწყნარეს იგივ
სიხარულითა და საუჯარულითა და დაემკვიდრა
მუნ და მისცა დმერთმან გამარჯვება და
ასელმწიფო იგი შავშეთ კლარჯეთსა ზედა და
მან სოფელში ზოგი იყიდა საფასით და
ზოგი ოხერი აღაშენა და განამრავსა სოფ-
ფები კურაპალატას ქვეუნათა მათ შინა“ (სამი
ისტ. ქრის., სუმბატის ქრის. 52). ეს პატრია
ნაწილები მაშინდელ საზოგადოების ცხოვრების
სურათს საუცხვედ გვიხატავს; აშორი გურატი

ჰალატი, ოფერონც შემატიანე შოგვითხრობს, ასხერებულ ქვეუანაში მისულა და სპარსეთის განადგურებისა და შავი ჭირის მუსრისაგან გადარჩენილ აღგილობრივ მცხოვრებთ იგი სისა-რულით მიუღიათ; ხოლო მისი უფლება და მთვარეულობა წებაუთლობით შეუწინარებიათ; აშტოტი მათ მთვარეულობას გაუწევდა, დამცაგდა განსაცდელისაგან, მცხოვრებნი-კი თავის მხრივ მის უფლებას დაჭებაბულდნენ და ამით, რასა-გვირველია, ჰირადი თავისუფლება შეეზღუდათ და დამოუკიდებელ მკვიდრო ბატონი გაიჩინეს; ამას ფათინურად *fundorum patrocinia* ერქვა, ქართულად კი შეიძლება „შეწინარებული ჰატ-რონისა“ დაუქახოთ. ამავე დროს მემატიანეს სიტყვით აშტოტს ზოგი სითლებით ფასად გაუ-ედნია, ესე იგი ჰირად კერძო საკუთრებად განუთვისებით და ზოგი გიღებე თხერი მა-წები და ნასითვარები, რომელიც მის სამა-ტონო საკუთრებას შეაღენდნენ, აღუდგენა და გაუშენება საქართველოს სხვა აღგილები-დან გადმოუკანილ საფხოთ; ამგვარად აშტოტს თავისუფლად და ცარიელი მიწები მოთვის უწეალობება; ასეთ საქციოელს რომაელები *beneficia*'ს ეძახდნენ, ხოლო ქართულად შეი-ძლება „წეალობითი ბატონისა“ დავარქვათ სახელად. ამნაირად ზემო მოუკანილ შემატიანეს სიტყვებიდან სჩანს, რომ აშტოტს სახელმწიფო უფლება *fundorum patrocinia*-სა და *beneficia* ზე იურ დამეარებული, ანუ ქართულად რომ

ესთქვათ „შეწუნარებულ და წეალიბით პატრი-
ნიბაზე“, ერთი სიტუაცია კირძა უფლებრივი
თვისტება ჰქონდა. საქართველოს სამეფო მთლი-
ანიად პატრინუმობაზე იურ დაფუძნებული:
როგორც მეფე თავის დიდებულ ქვეშევრდო-
შებ— „მოუმეტების“ პატრინად ითვლებოდა, ისე-
ვე თავიანთ მხრივ ეს მეფის უმები საკუთარ
ხელქვეითების პატრინუმად ითვლებოდნენ, ხო-
ლო ხელქვეითნი, როგორც ჩეკენ ზემოდ მთ.
უგანილ ატენის წარწერიდან დაყინახეთ, უმებად
იწოდებოდნენ; ამ უმებსაც თავიანთ მხრივ სა-
კუთარი უმები ჰქავდათ ხოლმე, რასაკვირვებლია,
ისინი მათ პატრინუმად ითვლებოდნენ. ამ ნაი-
რად მთელი მაშინდელი საქართველო მეფიდან
მოუმლებული უბრალი მღაბიმდე პატრინ-
უმობის უდებში იურ მებმული და ცხოვრების
ტვირთს მიეწეოდ; რჩმ დიდებული მთხე-
ლებიც მეფისავით პატრინუმად იწოდებოდნენ,
ცხადად სხანს ჩეკენ მემატიანებების თხზულებე-
ბიდან; დავით ადმაშენებალის და თამარ მეფის
ისტორიასები მაგალითად შემდევ პირებს ასა-
ხელებდნენ: გუზან „პატრიონი კლარჯეთისა და
შავშეთისა“ (ქართ. ცხ. 426), ვარდან და-
დიანი „პატრიონი არბეთისა და კაენისა და
ლიხთიქით ნივთისამდის უცილობელად ქო-
ნებისა.“ (ქარ. ცხ. 426), მხარერამელი „პა-
ტრიონი ლირისა“ (ქარ. ცხ. 431), აფრიდინ
„თმოვავისა და სხვათა ციხეთა პატრიონობითა
და კაული“ (ქარ. ცხ. 408), იანე ვარდა-

ნისა „პატრონი გაგისა“ (ქრ. ცხ. 428) და
მააუ „პატრონი კაიწინისა“ (ქრ. ცხ. 428).

თავი მეოთხე

რის უფლება ჰქონდა საქართველოს მეფეს
და რა საქმეებს განაგებდა ხლომე იგი? მე-
თორმეტე საუკენეში ჩვენი მეცნიერები იტუ-
ლნენ ამაზე „რადენი საქმენი ეთხოებან მე-
ფობასა“-თ? რასაკვირველია, ამ საკითხის გა-
დასაწყვეტილ უკელას ის ემჭობინებოდა ამის
შასუხი ის ღრღინდელ თხზულებებიში ამოგვე-
კითხა, მაგრამ, ჩვენდა სამწუხაოდ, ჩვენ დო-
მდე არც ერთ ისეთ ქრთველ თხზულებას არ
მოუდწივია, სადაც საქართველოს მშინდელ
სახელმწიფო წესწყობილებაზე იყოს დაპარაკი.
მართალია, თუმცა ჩვენ არავითარი პირდაპირი
ცნობები არ მოგვეპთვება, რომ ამ გვარი თხ-
ზულებები ღვევისმე ქართულად დაწერილიყოს,
მაგრამ ერთი გარემოება ნებას გვაძლევს ვიტა-
ქრთ, რომ ეს ასე უნდა უფლებილიყო: მშინ-
დელ ჩვენ შეზობელ ერებს სპარსელებისა და
განსაკუთრებით არაბებს დიდი მწერლობა ჰქონ-
დათ თავიანთ სახელმწიფოთა წესწყობილებისა-
და მოხელეთა უფლების შესახებ; სპარსელად
დაწერილ გამოყვალევის „სასერ ნამე“-ს ავტო-
რი ნიზამ-ულ-მუჯად ჩვენ სახელმიწან მეფის
დავით აღმაშენებელის უფროსი თანამედროვე
იყო; ცოდნით და მწერილი მაშინ ქარ-

თავით მეზობლებს თითქმის არ-
ურით არ ჩამოუგარდებოდნენ, ამიტომ შესა-
ლოდნელია, რომ ჩვენშიც ყოფილიყო გავრცე-
ლებული სასჭულოთმაცნიერო გამოკვლევათა წე-
რა, — სხვა და სხვა თხზულებები საქართველოს
წეს-წერილებისა და კანონმდებლობის შესახებ.
წერილი ძველი მწერლობა ძალიას ნაკლებად არის
უკანასკნელი, ამიტომ შესძლებელია ღდესმე
ამ გვარი თხზულებები დამთხნდეს კიდეც. მა-
ნამდისინ-კი მკვლევარი იძულებულია მაშინდელ
საისტორია შესალებს და მთავრობის მიერ გა-
მოცემულ სიგელებს მიჰმართოს: იქაც საკმაო
და საუკრადლებო ცნობების პოვნა შეიძლება.
დავით დამაშენებელის მემატიანე მაგალითად
ურთ საუცხოვო ცნობას შეიტავს მეფის
უფლებათა შესახებ; „ვინ აღრაცხნეს, ამბობს
ჭარილობისა, რაოდენი საქმენი ეთხოები: ნ
შეფობასა, რაოდენი მართებანი და განსა-
ზებელნი: კიდეთა პურობანი, სამეფოსა წენა-
რობისა დონენი, ლაშქრობათა მეცადინეობანი,
მთავართ ზეკვისა ცნობანი მხედართა განწესებანი
საერთო შიშნი, სახელოთა და საბჭოთა სჯანი,
საჭურჭლეთა შემოსავალი, მოციქულთა შემ-
ხვევანი და პასუხი, მატლვეთა ჯერანი მი-
საგებელი, შემცოდეთა წეალობითნი წრთვნანი,
მსახურებელთა ნიჭირავლობანი, მოჩიდვართა მა-
რთალი გამომიებანი, პრისაკითხავთა შესატევისნი
მოკითხვანი, სპათა დაწერის და ღონიერნი
მიმართებანი, და რაოდენი ვინ დამწენეს სი-

ტუკთა უფსერელისაგან სამეცნო საქმეთა-
სა“ (ქარ. ცხ. 371). ეს შესწინები ნაწყვეტი
გვიჩვენებს, რომ მაშინდედ ქართველ განა-
თლებულ საზოგადოებაში სჯაბაასი ჰქონიათ
ხოლმე სამეცნოს წესწყობილების სხვა და
სხვა ძირითად საკითხების შესახებ, იმაზე
თუ „რაოდენი საქმენი ეთხოებაან მეფეთასა,
რაოდენი მართებანი და განსაგებელი“. მაგრამ
მემატიანეს სიტუაცია აგრეთვე ცხადად „მტკი-
ცებს“, რომ საქართველოს მეფეები „მართე-
ბანი“ და „სათხოორნი საქმენი“, ანუ მეფე-
თა უფლება და მოვალეობანი მაშინდელ ისეთ
განათლებულ და ნასწარ მწერლებს, როგორიც
მაგალითად დაფიც ადმაშენებელის მემატიანე
იუდ, ჯერ კიუევ სავსებით გამორცვეული
არა ჰქონდათ. ეს გამოუჩვეულობა ისტორი-
კოსის სიტუაციებს ნათლად ეტუთა: ვინ აღრა-
ცხნის რაოდენი მართებანი და განსაგებელი
ეთხოებაან მეფეთასა“—თ გაოცებული კითხუ-
ლობს ჩვენი მემატიანე და კაცი ამ კითხვის
კილოზე შეატუთას, რამდენად დარწმუნებუ-
ლია იყო, რომ მეფეთის უკელა განსაგებელ სა-
ქმედების ჩაპიროვლას ვერავინაც ვარ. შესძლებს.
ისტორიკისი თათხნაც ცდალობს, აღნუსხს
საქართველოს სელმწითას მართებანი და მთ-
ვალებანი, მაგრამ ბოლოს თითონ გრძნობს,
რომ ამ საკითხის გამორცვევა საჭიროა არ
აღვეუს და ამის გამო ისევ კათხელობს „რა-
ოდენი ვინ აღმოჩენეს სიტუაცია უფსერელი“

საგან სამეფოთა საქმეთა „-თ მაშასადამე ჩვენი მემატიანეს სიტყვით მეფის მოვალეობანი უფ-სკრულსა ჭკავდა, და ვინ უგუნური იქნებოდა, რომ ამ უფსკრულისა პირი ეპთვნა და სიღრმე აღმოეწყო?.. ამგვარი მემატიანეს უძლურება ამტკიციას, რომ მაშინდელ შეცნიერების ძალა არ შესწევდათ ცხოვრების მრავალ მხრივი და უფერ დღიური შემთხვევანი რამდენიმე უმთა-ვრესი ერთნაირი ცხოვრების მოვლენა ი ჩაეთვა-ლათ: ისინი თვითოვენდ სახელმწიფო ცხოვრების შემთხვევას ცალკ-ცალკე ასახელებდნენ და, ეტ-ერბა, ფიქრიდაც არ მოსდიოდათ რამდენიმე ერთ-გვარი მოვლენა ერთად დაესახელებინათ; მემა-ტიანე მაგალითად ზემომოქმედი ნაწევეტში სხვა და სხვა სახელით ერთსა და იმავე საგანზე ფაპარაკების: სამეფოსა წენარბისა და მთავრობისა და ცნობანი, საერთო შიშა, შემცილეთა წეალობითნა წერთნანი და მსახუ-რებელთა ნიჭირავლობანი. წევნთვის ესლა რა-საკვირველია ცხადი არის, რომ მთავართა ზა-კვის გაგება და სამეფოს დაწენარებისა და შშვი-დობიანობის დასამეცარებლად დონისძიების ხმა-რება ერთსა და იმავე საგანს, სახელდობრ სა-მეფოს გამგეობას შეეხდა; როცა მეფე იმის ცდაში იუთ თავის სამეფობელოში მეუდროება როგორ წამოეგდო, უპრეზელია იგი „შემცილე“ შეამბოხებს დასჭირდა, ხოლო ერთგულ მო-უმებებს წეალობას გაუმრავლებდა; ამგვარად გსეც გამგეობას შეეხებოდა, წევნმა მემატი-

ანერი-კა თათქმას ეს არ იცას. იმავე ნაწ-
ევეტშა ისტორიგასი სამ სხვა და სხვა ალაგას
სამხედრო, ანუ სალაშქრო საქმეებზე ლაპარა-
კობს: მაგალითად, ლაშქრობათა მეცადანებანი,
მხედართან განწესებანი, სპათა დაწყობანა და
დონიერნი მიმართებანი; უკელა ეს საზრუნავი
სამხედრო საქმეებს შეეჩება და ჩვენ ეხლა,
რასაკვირველია, თვითოუელ კურძო სალაშქრო
მეცადანებისა და ფარვიშობის ჩამოთვლას არ
დაგიწყებდით, არამედ ადგნიშნავდით მხედლოდ
საზოგადოთ „სამხედრო საქმეებით“. იგივე უნდა
ვოქმათ „საერთაშორისო საქმეების შესახებაც:
მემატიანე ჰამდენჯერმე ლაპარაკობს ერთსა და
იმავე საგანზე, მაგალითად: მოცაქელთ შე-
მთხვევანი და პასუხნი, მეძღვნეთა ჯერანინი
მისაგებელი და მოსაკათხავთა შესატევასნა
მოკითხევანი. ერთი სიტყვით, ჩვენა გხედავთ,
რომ მაშინდელ მეცნაერთა წრეებში სისწილე-
ტიურ მსჯელობას ჯერ კიღევ საქმიად არა
ჭიქნდა ფეხი მოკითხებული, თვით „სახელმწიფო
მართვა-გამგების წესიც ვერ იყო ამ მხრივ
საქმიად განვითარებული, მაშინდელ საჭროთვე-
ლიში, როგორც უველგან საშეალო საუგუჩიების
დონის, შრომისა და მოვალეობათა კანონიერი
განაწილება და განსაზღვრა არ არსებობდა.

თუმცა ზემომოცუვანილი მეფების მართებანი
და განსაგებელი საქმეები ხეირიანად და თანა-
მედროვე მოთხოვნილებათა შესაფერისად გერ-
არის ჩამოთვლილი, მაგრამ მაინც საუკადლებო,

რადგან მაშინდელ პოლიტიკურ სიბრძნესა და
მსჯელობას ახასიათებს. ამასთანავე იმ ნაწევეტის
საშუალებით მკვლევარს შეუძლიან დაახლოვებით
მარც გამოიყოფოს, რა და რა შეადგინდა სა-
ქაროველის მეფეების უფლებასა და მდვიუმებას;
სამ ზემოდ დასახელდებულ: საგამგეო, სამხელო
და საერთაშორისო საქმეების გარდა, ხელ-
მწიფის კანისაგებელ საქმეთა ჯგუფს ეკუთვნდა
აგრეთვე „საკურულეთა უმოსავალნი“, ანუ
საფინანსო საქმეები.— „მომჩინართა მართალ-
ნი გამოძიებანი. ანუ მართმსაჯულება, —და
„საკელოთა და საბჭოთა სჯანი“. ანუ სა-
კანომლებლო (და საგამგეო, რა მხრივ?) მოღვა-
წეობი. იქ სრულებით მოხსენებული არ არის
საკულტურო საქმეები, მაგრამ ეს, რასაკვირველია,
შემთხვევით იქნება გამოტოვებული მემატიანეს
ნუსხაში.

რასაკვირველია, მეფეს პირადად უველა საქმეე-
ბის განგება არ შეეძლო. მართვა-გამგეობის
ტეირთვის გასაღვიანებლად მას თანამშრომელები
ჰყავდა. ჩვენში მაშინ მეფის თანამშრომელებს
„დიდებულ მოკელებს“ ეძახდნენ. საგამგეო
საქმეები ეკითხებოდა ხლამე ვაზიონს და მწი-
გნობართ უხუცესს, იგი უველა მოხელეებზე
უფრო დაწინაურებული იყო და სამცტო დარბა-
ზის მწიგნობართა უფროსად ითვლებოდა; იგივე
მოახსენებდა ხლამე მეფეს ეკლესიის საქმეებია
და საჭიროებათა შესახებ: ვაზიონ და მწიგნო-
ბართ უხუცესი უკველად სამღვდელო პირი

უნდა ეთივისიყო, სახელდობრ ჭურდიდები
მთავარ ეპისკოპოსი; ამგვარად იყო დასაკლევი
ეპიკონსის საშუალო საუკუნების სახელმწიფოების
კინტლერის მთგვაცნების. ლაშქრის უამგება,
მოწეობა თა დამიანობის ღრუს წინამძღვალის
ამინ სპასადარის საკულტოს შეადგინდა. სახელ-
მწიფოს შემოსავალ-გასავალი მეტერჭულეო უსუ-
ცესს ეკითხებოდა ხლამე. ესლა ჩვენ არ შე-
გვიძლიან საჭართველოს სახელმწიფოს მოხელეთა
უფლებანი და მართებანი უფრო კრულად განვი-
ზილოთ, იმიტომ რომ ამ საგანს ჩვენ დღევან-
დელ გამოკვლევასთან პირდაპირი კაშირი არა
აქვს. ჩვენ გვინდა აღვინიშნოთ მხოლოდ, რომ
თუმცა ზემომოქვეანილ ისტორიკულისის სიტუაციის
თანახმად „მომზიდვართა მართალი გამოძიებანა“,
ანუ მართმესაჭულება მეტას განსაგებელ საჭმეთა
ჯგუფის ეკუთვნოდა, მაგრამ საბუთებიდანა სჩანს,
რომ მუდმივ ასეთი წესი არა ყოფილა და
ერთ ღრუს მართმესაჭულება შეფის პირდაპირ
განსაგებელ საჭმეთა ჯგუფის დარ ეკუთვნოდა.
რასაკვირვებია, რომ მემატიანე ამბობს მეტეს
„მომზიდვართა მართალი გამოძიებანი“ ეკითხე-
ბოდათ, ის ამას ნიშნავს, რომ მეტე უმაღლესის
მსაჭულად ითვლებოდა ხლამე; მისი წამდაუწევმ,
წერილმას საჩივრებით შეწესება არ იქნებოდა,
ამისათვის განსაკუთრებული მისამართლები
იუნენ დაუწებულია. მეტე მაშასადამე უზენაეს
მსაჭულად ითვლებოდა; იგი პირდად ისმენდა
გაჭირებულის საჩივრებისა და სათხლეარის და

თითონები სდებლა ხოჭმე განაჩენს. შეგრამ მუღამ
ასე : რა ყოფილა. ძველი წესი დავით ალმა-
ზენებელის დრომდე მოქმედებდა, ხოლო ამ
სახელოვანმა მეტემ მართმსაჯულებას ახალი
გზა გაუკვლია. დავით აღმაშენებელის მემატანე
ჩვენ სამართლის ამ თვალსაჩინო წარმატებისა და
გაუმჯობესების ამბავს ამნაორად მოგვიათხობის:
„სლენა შინა თვისთა სამეფოთას, სიმრავლითა
სპათათა და სიმალითა სლენისთა“, სწერს ის-
ტორიკასი, მეფეს „ვერ აღვალად მიემთხვევა-
დიან მომჩინეარნი და დაქარცებულნი, განადა
ვიკოგანშე რომელთა საჭიროდ უხდის გან-
კითხვა და შეწიგნა მეფობრივი, ნუ უგუა და
ვინმე აღვიდის ბორცვსა ზედა რასამე გზასა
მახლობელსა, ანუ კლდესა, გინა თუ ხესა,
ვითარცა ზაქე, უკეთუ ოდენ ეპოვოს ესე
ვითარი საქმე და მუნით საცნაურ ყვის
კრტინვა ა: ვსი, ამისთვის დაედგინნეს კაცნი
მართლიად მცნობელნი და განმკითხვარნი
მომჩინეართანი, რომელთა მიერ მიიღებდეს
კურნებასა“ (ქრ. ცხ. 373). როგორც ამ შე-
სანიშნავ და ძვირფას ცნობდანა ჩანს, ვიღრე
დავით აღმაშენებელი ამ ახალ წესს შემთაღებდა,
თითონ შეაფა ეთებოდა პირადად შესაჭრად,
მაგრამ რაცა სახელმწიფო გათართულდა და
სახელმწიფოს სამზღვრებმა შესამჩნევლად გაიწია,
რხოვრებაც რასაკვირვებლა გართულდა, სამეფოს
მართვა-გამგება გაძნელდა. მეფე იძულებული
იქნ თავისი განიქმული მხნება და თავისუ-

ფალი დრო გაერთიანებულ საქართველოს პოლიტიკურ ძღვიერების დამეურნებისათვის მდებმარებინა. ამისთვის-ამ ცწარით დაშეცრდა და მუდმივი სამსედო სამზადისა და მოქმედება იყო ხოლმე საჭირო. მეტეს, რასაკვირველი, დრო და მოცალება არ ექნებოდა და ამის გამო „მომჩინეართა“ საქმეების გარჩევას ვეღარ მოასწორდა. მეტე რომ ერთ ადაგას არ ეგულებოდა ბოლო ხოლმე, მომჩინეარნი და მთხოვნელები რდოლობდნენ სადმე გზაში მაინც დაჭრედნენ მას და თავიანთი ჭირ-ვარები და დარღი შეეჩინდათ; ისინი, მემატიანეს სიტუაცია, გზის პირას გრავებზე, ან მაღალ კლდეებზე ავიდოდნენ ხოლმე, ან არა და ხის კენწერთაზე მოუქცეულდნენ, ოდონდ-კი მეტემ როგორმე უეგვამჩნიოს და ჩვენი ამბავი იკითხასთ. ნიჭიერება და შორსგამსჭვრეტავება ხელმწიფო მომჩინეართა და მართ-მსაჯულების ასეთ გაჭირვებულ მდგრმარებას უკრადლება მიაქცია და საქმის მოწესრიცება დააპირა. რაკი თათონ მეტეს მოცალება არა ჰქონდა, ამიტომ უგვიანეთი მეტესთან ნაჩივლ საქმეების გამოსაძიებლადა და გასარჩევად მან ახალი დაწესებულება დაარსა, სადაც „გაცნი შართლიად მცნობელი“ დადგინა; ამიერითგან უზენაესი მართლ-მსაჯულება საქართველოში ამათ ეკითხებოდა, ე მეტის პირადი განსაგებელი საქმე აღარ იყო; შესაძლებელია მხოლოდ მისთვის უზენაეს მოსამართლეთა განაჩენი დასამტკიცებლად

წარედგინათ ხოლმე.

ჩვენ არ შეგვიძლიან ეხლა უფრო გრციად
განვიხალოთ ის საკითხა, თუ რა და რა საჭ-
მები ეკითხებოდა ამა თუ იმ ღიღებულ მო-
ხელეს, იმიტომ რომ ამ საკითხებისათვის ცალკე
გამოკვლევა იქნებოდა საჭირო, თუ-კი ჩვენ მო-
გინდომებდით ჯერთვანად შეგვესწავლა იგი,—
აგრედვა იმის გამდ, რომ ჩვენ აწინდელ კალების
საგანთან შეიძრო კაფშირი არა აქვს. საჭარა-
ველის მეტეს, როგორც ზემოთ იყო აღნიშ-
ნელი, მრავალი სხვა და სხვა საჭმები ეკითხე-
ბოდა ხოლმე, მაგრამ მეტის უფლების თვისება
რომ უკეთესად გავითვალისწინოთ. უკეთესი
იქნება, თუ მეტის თვითონეულ განსაგებელ
საჭმებს ეხლა თავს დავანებებთ და უმთავრესის
საზოგადო საკითხის გამორკვევას შეგუდგებით,
სახელდობრ, თუ რა უფლებები ჰქონდა სა-
ჭართველის მეტეს სახელმწიფოს მართვა-გამ-
ბებაში, სრული, განუსაზღვრელი თვითმშეზო-
ბელი ბრძანდებოდა იგი, თუ მისი მოქმედება
ცოტად მაინც შეზღუდვილი იყო?

თავი მესულე

თითონ მეტეებისათვის რომ გვეკითხნა, უკ-
ნიგელია ისინი დაუყოვნებლივ გვიპასუხებდნენ,
„ნებითა და შეწევნითა ლეთისათა“ სრულის
უფლებითა ვართ აღწერვილოთ; ავი გილოგი ॥

ერთ თავის სიგელში „აღმოსავლეთისა და და-
სავლეთისა თვითმშენდობელის“ სახელი უწიდა
 თავისთავს. ჩვენთვის ამ შეფერის შეხედულობას
 კრიტიკა, რომ მათ უფლების ჭეშმარიტ თვისე-
 ბისა და სიყრცის გამორკვევას უნა შევჭდგეთ,
 ასევებითი ზნიშვნელობა აღარა აქვს; მაშინდელ
 მწვევების პრაქტიკა-სიგელები და მემატიანეთა
 მიერ მოთხოვილი ამბები უფრო მიუდგრმელ
 და ჰიანუთვნელ საბუთების შეგვძლენ ამ საკითხის
 გამოსარკვევად. დიდი ხანია როგორც სიტყვა-
 კაზმულ მწერლობაში, ისე განათლებულ საზოა
 გადაებაში ერთი ასირებული და შემცდარი აზ-
 რია გავრცელებული, გიორგი საშეალო საუკუ-
 ნოებში და ქრისტიანის წინა ღრისა აზიის უველ-
 სახელმწიფოში განუსაზღვრელი, სრული თვითა
 მცენდობელობა იყო გაბატონებული, გითხმიც იქ
 მეფის სურვილისა და განზრახვის კანონის ძალა
 და გასაფალი ჭერნი და დაუკავშირდები, სიტ-
 უვის შეუბრუნებლივ უნდა აესრულებინათ ქვე-
 შევრდომებიც. / ამისთანა სახელმწიფო წეს-წევ-
 ბილებას, როგორც მოგეხსენებათ, აზიურ ღის-
 პლატიას, ანუ აზიურ მტარქალობის სახელიც-კი
 დაარქვეს. რასაკვირველია, უველა აღმოსავლეთის
 სახელმწიფოზე დაპარაკის ჩამოგდებას ჩვენ
 უერ გავიძევთ, მაგრამ საქართველოს ისტო-
 რიის შესწავლა და ქვემოთ დაწირილიც, იმედია,
 საკმარის შეარცევის ამ უალბ და უსაფუძლო აზრის.
 საქართველოს მეფის უფლებათა სიყრცის გა-
 მორკვევას ჩვენ მისი ტახტზე აბრანების პირ-

გილ მოსმედებიდანვე შეგუდგებით. უძველესი
ქართული იურიდიული საბუთები გვიჩვენებენ,
რომ ხელმწიფუ ტახტზე აბრძანდებოდა თუ
არა, ყველა დაწესებულებანი და კერძო
პირი, რომელთაც განსვენებულ მეფეთა
მიერ წყალობის, ან კიდევ ბრძანების წიგ-
ნები ნაბოძები ჰქონდათ, მოვალენი იყვნენ
ახალ ხელმწიფისათვის მიერთმიათ და საბუ-
თების დამტკიცებას შეჰვედრებოლნენ. როდა
მეფე თავის მოუშეს ისეთ წყალობის წიგნს
აძლევდა ხდებო, რომელიც „საუკუნოდ“ უძლე-
ლად უნდა დარჩენილიყო, იგი თავის ნაბოძებ
ბრძანებაში უძველად ჩაუმატებდა ხდებო: „აწ
ვინცა ვნახოთ ბრძანებად და სიგელი ესე
ჩუენი შემუგომად ჩუენსა მომავალთა მეფე...
თა... დაუმტკიცეთ და ნუ ვინ უმაღავო
ბრძანებულსა და გაგებოვილსა მას ჩუენსა“ - და
(იხ. ბაგრატ IV, 1058 წ. სიგელი, უფრდა-
ნია, ისტ. საბ. შიომღ. 4); ასეთი თხოვნა-
უველა უძველესი მეფეთა სიგელებსა აქვს ჩარ-
თული (იხ. ibid. მეღრე სიგელი ბაგრატ IV,
გვ. 9; გორგო II, გვ. 12; დავით ადმაშენე-
ბელისა, გვ. 19 და სხვა). ჩვენსმდის სწორედ
ერთმა ასეთმა საბუთმა მოაღწია, სადაც მეფე
გიორგი II შიომღვიმისადმი წინანდელ მეფეთა
ნაწყალობებ უფლებებს უმტკიცებს. მეფე ბრძა-
ნებს: „მოვდეს მლვიმესა ჩუენ წინაშე წმიდა
მამა მიქელ და ყოველნი მამანი, მკვდრნი
მლვიმისანი და მოიხვენეს სიგელნი მამათა და

პაპათა ჩუენთანი და დაწერილნი მთავართ
ყოველთა და აზნაურთა... რათა იგი სიგელნი
გაუახლენით და დაწერილნი დაუმტკიცენი-
თო“ (ibid. გვ. 10). ამ დამტკიცების და უფლე-
ბათა კანახლების საბუთის ბოლოს ნათქვამდა:
„დაიწერა ბრძანებად და სიგელი ესე ჩუენი ინ-
დიკტონსა მეფობისა ჩემისასა პირველსა
(*) (ibid გვ. 12). რასაკვირველია შ-დმდების
მმებს გათრგი ॥-სათვის იმის მეფობის პირ-
გელ წელს იმიტომ წარუდგენიათ დასამტკი-
ცებლად, რომ მათ საბუთებს ძალა და უნიშვნე-
ლობა არ დაჭერგდათ. ჩივუკვირდეთ ეხლა ამ
მოვლენას და გამოვარკვით, თუ რას მოასწავებს
იგი. თუ მეფებს საჭირო მიაჩნდათ რომელიმე მო-
ვეს მამულს, ან სხვა უფლებას რომ უწეალთ-
ბებდნენ, სიგელში „უცილებლად“ ჩაემატებინათ
ხოლმე შემდგომად შომავალ მეფების მიმართ
თხოვნა, ჩემი ბრძანება ~~და~~ წერალის წიგნი
დამტკიცეთ და ნუ გააუქმებთ, უაჭველია
ისინი დარწმუნებული უნდა უკითხილიერნენ, რომ
მათ შემკვიდრე მეფებს შეეძლოთ წინაპართა
ნიბრძანები და წეალისისწიგნი მოეშალათ. რამ-
დენად დარწმუნებული იყვნენ საჭართველოს
ხელშიწიგები, რომ მათ მოადგილებს მათის
ბრძანების დარღვევა შეეძლოთ, იქადანა სჩანს.
თუ რა საშეალებასა ხმარიბდნენ ხოლო მეფე-
ნი, აღთქნდ-კი თავიანთ წეალისის წიგნისათვის
საუკუნო უქციელება მიენიჭებინათ; თხოვნის
გარდა ისინი სიგელში უფლეთვის ჩაურთავდნენ

სოლმე: „გვეუთუ ვინმე, რასაცა უმსა რაოდა
გვარი კაცი, დიდი გინა მცირე აღგეს და ამა
ნაქნარსა ჩენენსა აქცევდეს. გამცაურისხდების
მამად, ძე და სული წმინდად და ესემცა წმინ-
დანდ მოციქულინი არან მსაჯულინი სულისა მა-
თისანი დღესა მას განკითხვისასა“.(შიომღ. ისტ.
საბ. 9, ბაგრატ IV, 1058 წ. სიგელი). ამ
გვარივე წევავა-კრულვა უველა საბუიუბში მიი-
პოვება (იხ. შიომღ. ისტ. საბ.). მაგრამ, მე-
ფიების აზრით, არც ესა კრირდა; რომ წევა-
ლას გაეცნა და მომავალში საბუო ვისმე არ
დაერდება, ამისათვის ისინი თვითონეულ თა-
ვიანთ სიგელების ბოლოს მამატებინებდნენ
სოლმე: „თქვენ ქრისტეს მიერ... ქართლისა
კათალიკოზმან და წმინდათა მღვდელთ მოძღვან-
თა დაწერილი ასე ჩენი დამტკიცეთ, ვითა
წესი არს წევალანი და შეჩერებანი დაწერენით
ვინცა ლკეციონს და შეკრიფთს“-თ. (ბაგრატ
IV-ის სიგელი. 1058 წ. ibid. 4). ასეთივე
თხევნა ჩართულა ბაგრატ IV პერ. სიგ. ibid.
9: გიორგი II 1072 წ. სიგელში, ibid. 12;
დავით აღმაშენებელი ანდერძში, ibid. 19).
კათალიკოზებიც გულმოდგინებ ასრულებდნენ
სოლმე მეფეთა თხლენას; აი, მაგალითად, როგორა
სწევლის და შეაჩვენებს მეფის სიგელის უარის-
მუთელთა და გამაუქმებელთ გიორგი კათალიკო-
ზი: ვინც ბაგრატის სიგელს დაარღვევეს, „ჭრისხვაშ-
სცა მამად, ძე და სული წმინდად, დვთისმშობელი,
კრულმცა არან დაუსაბამოდისა უფლისა სიტევი-

თა, აოთირმეტთა წმიდათა მოციქულთა შაღლითა, ეჭვსთა კრებათა შაღლითა, ხეთთა პატარიანებთა ჯუარითა, წმიდისა დედაქალაქისა და ისუატის ცხოვლისა შაღლითა, ჩემ გლახაკის ჯუარითა გაუხსნელად სულით და ხორცით ამას უთვასა და მას საუკუნესა ასტრა ნაწილი მისი იუდასთანა ისკარიოტილის და უოველთა მწერა ლიბელთა და უფლის უარისმეოთუელთა თან. შერაცხილი"-თ (ისტ. საბ. შიომღ. १ იხილე ასეთი კრულება სხვა სიგელებშიაც, ibid. გვ-12, 22 და სხვა). ასეთი საშინელი და უზარმაზარი ცხრაკლიტერი კრულება-შესვენება იყო ხოლმე საჭირო, რომ შეფერ დარწმუნებული ბრძანებულიყო, ჩემი მთაღიალები სიგალს არ გააუქმინებენ და არ მოშლიანო. შეგრამ არც ეს უზარმაზარი წეველა-კრულება ჰქონდებოდა ხოლმე რასმეს. ეხლაც-კა აუარებელი საბუთი მთაბეჭება, საცა ნათქვამია, რომ განსვენებულ მეფეთა სიგელი არ დაამტკიცეს და მოშალესთ. ა) ნაირად უველა ზემომუევანილ მასალებიან—რხადადა ჩჩანს, რთმი საქართველოს მეფეთ მეფეს ბრძანებას მნიშვნელობა და გასავალი მხოლოდ მის სიკოცხლის დროსა ჰქონდა, ესე იგი თვითოეულ მეფის ბრძანებისა და განკარგულების მოქმედებას საზღვარი ედო: ეს საზღვარი მეფის სიკვდილი იყო; თვითოეულ განსვენებულ მეფის ბრძანებისა და წყალობის წიგნს მხოლოდ მაშინ შერჩებოდა ხოლმე ძალი და მნიშვნე-

ლობა, თუ სამეფო ტახტის მოადგილეები შეიწყნარებდნენ და უქცეველობას დაუმტკიცებდნენ.

ჩვენამდის ერთმა საუკრადლებლ საბუთმა მთა-
დწია, რომელიც საუცხოვლ გვისატავს, რა გა-
ჭირვებულ მდგრადი რეგისი ჩაცვივდებოდნენ ხთ-
ამე ის პირები, რომელთაც თვითოვეულ ტახ-
ტზე ახლად აბრძანებულ ხელმწიფისათვის თა-
ვის მფლობელობის, ან წევალობის წაგნი დასა-
მტკიცებლად ან წარუდინათ. ეს საბუთი
ბაგრატ I-ის სიგელი გახლავთ: „მოვიდეს
ჩვენ წინაშე, ბრძანებს მეფე, ქუთათის, სახ-
ლისა სამკუიდრებელსა ჩვენსა, ესე მამანი მიჯნა-
ძოროვნების და მამანი ჰპიზარნი... და მთის-
ვნეს სიგულნი გურგენ ერისთავთ ერისთავისა,
გურგენ მეფით მეფისა, ჰპიზარნი ჩემისა ბაგრატ
გურაპალატისა და მამისა ჩემისა გიორგი მეფი-
სა, | რომლითა იგი ტევენი და ზღვარნი მიჯნა-
ძოროვნების დაემტკიცნეს და კრულობით მო-
წიმობანი კათალიკებთა და მდგრელობილებარ-
თანი,—და მთიდეს ჰპიზართა დაწერილი გუა-
რამ მემფლის (†889), რომლითა მას ტევესა
და ზღვარსა მიჯნაძოროვნებთა ერჩოდეს და ამათ
მიჯნაძოროვნებთა სიგელთა შინა გუარამ მამიფლი-
სა დაწერილი, რომელ ჰპიზართათვის დაუწერია
არა ხსენებულ იუთ რცა დამტკიცებულად და არც
გარდაგდებულად“ (შიო მდ. ისტ სბა. 8). ჰპი-
ზას მთნასლრის ბურებს, როგორც ამ საბუთიდან
სჩანს, გუარამ მამიფლისაგან მამული საჩუქრად

მიუღიათ, მაგრამ უთაურდებისა და დაუღევრდების გამო თუ სხვა რამეგ მიზეზით გუარამ მართლის (†882) სიკედილის შემდეგ აპიზე ბერებს თავიანთ წყალობის წიგნი არ წარუდგენიათ სელმწივეებისათვის დასმტკიცირებლად და ის მამული, რომელიც მათ გუარამ მაფლისაგან ჭქონდათ ნაბოძები, გურგენ ერისთავთა ერისთავს მიჯნაძორელთაობის გადაუცია. მიჯნაძორის მამებს თავიანთი უფლება კანონიერად დაუცავთ. და უვისა შემდგომად მომავალ მეოუებისათვის სიმტკიცისა და მოუშლესლაბის სელმწერილი, ხოლო კაოთლიკოზებისათვის კრულობითი მიწმობანი უთხოვნიათ და მიუღიათ კიდეც. მაშასადამე მიჯნაძორელი ამ დავაში მართალი იუგნენ, აპიზე ბერების საქმე-კი წაგებული იყო. ასეთივე მსჯავრი დასდო ამ სანიგრის განხილვის შემდეგ უჩილეს დარბაზის კართან მოწვეულმა საბჭომაც. მეფე პრიმანებს: „სელნი ამათნი (ე. ი. მიჯნაძორელთანი) მრავალნი და მტკიცენი იუგნეს და ჩუენგან მათი გატეხა არა ჭერ იურ იურ და სულსა მათ შირველთა შეიყეთა ვერ დავიმძიმებდით“ - დ (ibid, 8). მართალია, მამული საჩუქრად თავდაპირებულად აპიზე ბერებმა პილეს, მაგრამ რაკი წყალობის წიგნი შემდგომად მომავალ მეოუებს არ დაამტკიცებინეს, ამიტომ ნაჩექარ მამულის მფლობელობის უფლებაც დაჭკარდეს. სასამართლომ მ. მული მიჯნაძორელი მიაკუთვნა,

ხოლო თპიზელნიც რომ გულ ნაკადული არ
დარჩენენ და დავიდარაბა საბოლოოდ მოისპოს,
ამიტომ იმათაც სხვა მამული ფუძოძეთო,
ბრძანებს ბაგრატ მეფე.

ეს საბუთო ცხადად გვიჩვენებს, რა ნაირად
ჰორ-დაირეოდა და დაიხლართებოდა ხოლმე სა-
ქმე, თუ რომ წეალობის წიგნს, ან სხვა რამე
მოფლობელობის საბუთს თვითეულ ტახტზე ახ-
ლად ასეულ ხელმწიფოს არ წარუდგენდნენ დასა-
მოტკაცებლად. ამგვარად იურიდიული საბუთები
გამოტკაცებენ, რომ საქართველოს მეფის უფ-
ლებას მხოლოდ მის სიცოცხლის დროს ჰქონდა
ძალა და მნიშვნელობა, სიკვდილის შემდეგ კი
მარტო შემოხვევაში, როცა მოადგილე და-
მოტკაცებდა. ეს გარემოება, რასაკვირველია,
თვალ-საჩინოდ და ასებითად ავიწროვებდა და
ზღუდავდა მეფის უფლებას; რამდენად შეზღუ-
დელი იყო ამ მხრივ საქართველოს ბატონის
უფლება, შემდეგი შედარება დაგვანახავების: თა-
ნა-მედროვე სახელმწიფოებში თვითეულ მეფის
ბრძანებას ძმი ღრმოდე ჯერ ძალა და მნიშვნე-
ლობა, მანამდისინ რომელიმე მომავალი მეფე
არ გააუქმებს, მაშინდელ საქართველოში კი მხ-
ოლოდ მაშინ ჰქონდა ძალა, თუ თვითეული მო-
სახლი ხელმწიფე დამტკაცებდა მას.

თავი მეექვსე

რა უფლებით-და იყო ადჭიურებილი საქართვე-
ლოს მეფე სიცოცხლის დროს, სრული თვით-

შპერობელი ბრძანდებიდა იგი, თუ მისი მოქმედების თავისუფლება როგორმე შეზღუდული იყო? მას შემდეგ, რაც სასანელთა გვარის სპარსეთის ხელმწიფებმა მეფის უფლება საქართველოში მოსისე „მით ეამითაგან, როგორც ჩვენი მემატიანე მოგვითხრობის, ეპურა უფლება ქარსალისა აზნაურთა კიდრე ამათა მდე“-თ (მოქცევად ქართლ. სამი ისტ. ხრ. 44) ე. ი. ბაგრატიონთა გვარის მეფეების გაბატონებამდე. მაშაკადამე ჩვენი ქვეუნის მართვა-გამკედის უფლება, რამდენადაც მათ მებატონე სპარსეთის მთავრობა წეპას მისცემდა, აზნაურების ხელში ეთვითდა. სამწუხაროდ, ჩვენ ამ ხანის შესახებ ჯერჯერობით ძალიან ცოტა ცნობები მოგვეპთვება და ამის გამო მკვლევად შეუძლიან მა მანდელი საზოგადოებრივი ცხოვრების გათარების შესწავლისა. მემატიანეს აჭვის მხრიდან ერთი გაკერით ჩათქმაში წინადაღება, რომელიც საქართველოს ისტორიას აზნაურთა უფლების ხანს ასასიათებს. ბაგრატიონთა გვარის ისტორიკოსს სუმბატ დავითის ძეს ეპუთვნის ეს წინადაღება, რომელსაც თდნავ პირადი სიძულვილის და მედასების კვალი ატევია; მემატიანე თავმობეზრებული კვაუწიებს: „დაესრულა ‘უფლება ქართლისა აზნაურთა ბოროტთა საქმეთა მათთაგანა“-თ (ibid. 44). ჩვენის თემისათვის ეხლა საჭირო არ არის გამოვარკეთ, თუ რამდენად მართალია ისტორიკოსი: ჩვენთვის ისიცა კარა, რაგო დამტკიცდა, რომ ვიდრე საქართველოში

მეფობა ალდგენილი იქნებოდა, ქვეყნის უმთავრესი უფლება აზნაურებს ეკუთხნოდათ. „ქართლის ცხვერებიდან“ სჩანს, რომ შემდეგშიაც, ვიდრე კანისტანტინე აფხაზთა მეფი ქართლს დაეპატირონებდა „დაიპურობდეს ქართლსა აზნაური“ (გვ. 282). ქვეყნის გამგება აზნაურთა ხელში უდიდოდა. ზემოთ მითხოდბილი იყო, თუ როგორ შეერთდნენ ქართველ მოდგმის ერთა განცალკევებული შატარა სამეფოები; შატარანების სჩანს, რომ გაერთიანება ზოგჯერ ნებაუღულობით იყო ხოლმე განხორციელებული, ხასიათის სა-კი ძალატანებითაც. საბუთები გვიჩვენებენ მხალოდ, რომ მეფის უფლების აღდგენა საქართველოში ერთი სურვილისა და მწარმეობის წესით განხორციელებულა. რასაკვირვებია, მეფისას დაარსებისათანავე აზნაურობას თანდათან კვლავინდებული უფლება და მთავარება ხელიდან გამოეცილებოდა; ეს ამბავი-კი, რა თქმა უნდა, ბატონიბას მიჩვეულ უმაღლესს წოდებას არაურად ეჭვშნივებოდა, ამის გამო, უკეთესობა, გავლენიანი აზნაურობა არც თუ ძალიან მოწარინებული იქნებოდა, რომ საქართველოს ბატონი მეტის მეტად გაძლიერებულიყო. საქმე სწორედ ასეც დატრიალდა. მემატიანე, მაგალითად, გვიამბობს: „გარდმოვიდა ქართლს მეფე ბაგრატ (მე-III), რათა განავნეს საქმენი დაშლილნი ქართლისანი· მთვიდა და დაღგა თაღვას. ხოლო მას უამსა აზნაურთა ქართლისათა რომელთამე არა

ენება გარდმოსვლა მისი, რამე თუ თვოეულად გააგებდეს საქმეთა ქართლისათა... იწინამძღვრეს ქავთარ ედშელი, მოეგებნეს ბრძოლად და დაუდგეს თავსა ზედა მოლრისასა. იხალა რაც ბაგრატ აფხაზთა მეფემან, აღუზასნა სპარა თვისთა, მივიღეს და შეებნეს, იორნეს ქართველნი, რომელიმე ღავაცნეს, რომელნიმე შეიბურეს და სხვანი კვალად მეორნი გარდა იხვეწნეს და დაათვასტნეს; მოვიდა უფლის ციხესა... დაუკანა დღენი მცირედნი, განაგნა საქმენი ქართლისანი“ (ქრ. ცხ. 302, მარაშ დედ. ქარ. ლ. ექ თაყაიშვილის გამოც. გვ. 239). ეს მემატიანეს ცნობა გვიჩვნებს, რომ თუმცა ქართლის აზნაურები მეფობის აღდგენის წინააღმდეგნი არ იყვნენ, მაგრამ მისი საქმეებში და ქვეყნის გამგეობაში ჩარევა არ მოსწონდათ, — ბრძანდებდეთ მანდ აფხაზეთში და აქაურ საქმეებს ჩვენებურად მოვაწეობთთ. ქართლის აზნაურებს მიშასადამე ქვეყნის მართვა-გამგეობის უფლების დათმობა არა სურდათ და როცა მეფე ამათ ადგილებში გადმოვიდა, შეიარაღებულნი შეებრძოლნენ კიდეც. ამ ღრმადან იწევება შეუწევატელი ბრძოლა ქვეყნის გამგეობის უფლების გამო მეფეებისა და აზნაურთა შორის. ხანგრძლივი, სასტაციო, ხშირად დაუნდობელი ბრძოლა იუდ ჭრუტა და ბრძოლა ისტანის ხანა; სწორედ ამ ბრძოლის ისტორიის გამორგევასა და შესწავლას უნდა შევუდგეთ ჩვენ ეხლა. საკვირველია, რომ ჩვენ ისტორიის მკლევა-

რებს აქამდისინ არაგოთარი უურადღება არ შე-
უძლებიათ ამ ფრიად საინტერესო და „საუ-
რადღებო საკითხისათვის.

გარდაიცვალა თუ არა მეტე ბაგრატ III და
ქა მისი გიორგი ტახტზე აბრძანდა, „დაღრი-
ბითა“ (ჭერეთ-კახეთის) აზნაურთათა შეპერთ-
ბილ იქმნეს (ბაგრატის დაუკანიბჭლი) ერისთავინი,
მათ სტრანით კუალადგე ერთჯნეს მათნი უფალ-
ნი, რომელთა აქუნდა იგი“ (სუმბატის ქრის.
სამი ასტ. ქრ. 67). აზნაურინი წინააღმდეგნენ
საქართველოს მეფეთ-მეფეეს მისი უფლების გა-
ძლიერების შესაფერხებლად და თავიანთი წი-
ნანდევით შეართვებული ირჩივს. შეერთებულ
სამეფოს ჭერეთ-კახეთით ჩამოეცალა, მაგრამ
შერჩენილ სამფლობელოებშიაც აზნაურები გი-
რიგის დიდ ერთგულობას არ უწევდნენ. იგი-
ვე მემატიანე მოგვითხოვთს, ბერძნების კეის-
რის ბასილის შემოსევის დროს გიორგი მე-
ფეს უნდოდა უთანხმოება მშევიდობანად გაე-
თავებინა, „გარნა ორკერძოვე მზაკვარნი იგი
აზნაურნი არა მოეშვნეს გიორგის ყოფად
ზავისა, რამეთუ არა უნდოდათ მშვიდო-
ბად“-და (ქრ. ცხ. 313, მართმ ლელ. ქრ. ცხ.
356). მამაზე უარესი გაჭირვება აზნაურებისა-
გან იმისმა შეიძლება ბაგრატ მე-I^მ გამოიარა:
„აზნაურნი ტაოელნიო“, მოგვითხოვთს მე-
მატიანე სუმბატ დაგითისძე, და ბანელი ეპის-
კოპისი (ილანე) და ამათთან უმრავლესნი აზ-
ნაურნი ტაოსა, რომელიმე ციხეთა და რო-

შესაბამე უციხლნი, განუღეს ბაგრატის და
მიერთნეს კანსტანტიინეს, ძმასა ბასილი ბერ-
ძენთა შეფისასა“ (სამი ისტ. ქრ. 75). ხთლო
რთა ერთი წლის შემდეგ საქართველოს ბა-
სილ კეისრის ჯარი შემოესა, და ქვეყნის
ათასება დაიწერ და კლდე-კარს განს შემოერ-
ტეა, „სადა იგი იუგნეს, მემატიანეს სიტუაცით,
მაშინ აზნაურნი ბაგრატისნი და პრინცები უვას,
გარნა არა ღილაღ, და განუგეს კუალალ აზ-
ნაურნი და მისწნეს ციხენი, ჩანჩესამან ერთს-
თაგმან მისცა ციხე ცეკვისა და თვე წარვი-
დეს ივინი საბერძნეთს“ (ibid 76). აზნაურები
იმდენად გატაცებულნი იუგნენ შეფის წინააღმ-
დებ ბრძოლით, რომ დასატსაც კი არ ერთდე-
ბოდნენ ხთლმე. ამისთანა თავგანწირულ ერთ-
გულებით საბა მტბევარ ეპისკოპოსის, აზრი
ანჩელ ეპისკოპოსისა და შავშეთის აზნაურებს,
რომ არ დაეხსნათ შეფი, მისი საქმე ცეკვად
დატრიალდებოდა. საზოგადოთ ბაგრატ მე-IV-ს
დიდებულ აზნაურთა წინააღმდეგობისა და და-
ატიატისაგან ილაჭი ჰქონდა გაწუგეტილი. ბრძო-
ლა იმდენად გამწვავდა გიორგი შოაწმინდე-
ლის ცხოვრების ავტორის სიტუაცით, რომ
„აბაზაძენი... კაცნი ძლიერნი და სიმდიდ-
რესა ზედა მკლავისა თვისისაც მოქადალნი
და სიმრავლესა ზედა ირისა აღზავებულნი“
შეფის მისვენებას არ აძლევდნენ და წარმოდ-
გინეთ ისტორიის ამბობს „უფასელთა უწევთ
ჭეშმარიტებით, გითარმედ შეწყნარებაც მე-

ფისა ეგულვებოდათ“-ო (საეჭ. მუზ. გამოც. გიორგი მთაწმ. ცხოვრება, გვ. 319) აბაზა-ძებმა ლალად მეტის შეპურობაც-კი განიზა-სეს, განა ამაზე მეტიდა შეიძლებოდა? ვინ იფ-ვნენ მერე ეს თავზე ჩელადებული აბაზაძენი? „ქართლის ცხოვრებიდანა“ სჩანს, რომ ერთი ამ სუთ ძმათაგანი ქართლის ერისთავადა უფ-ფილა მაშინ (ქარ. ცხ. 323), მაშისადამე დი-დებულ მთხველეთა და აზნაურთა წრეს უნდა ეგუთვნოდნენ ისინი; ამიტომაც ამბობს გიორგი მთაწმინდელის ცხოვრების „გრიორი „გაცნი ძლიერნა და ახლვანნი“-ო; ხილო როცა იგი ამტკიცებს, აბაზაძენი „სიმართლესა ზედა ერი-სა აღზავნებული იუგნენო, რასაკვირვეველია, ამ დიად აზნაურთა მრავალი მომხრენი და საკუ-თარი ჯარი უნდა ჩიგულისხმოთ. ბაგრატ მე-ფიშ თითონ შესჩივლა გიორგი მთაწმინდელს, „მრავალ გზის ხელმეცო და ვეროდეს გან-მემარჯვა“-ო (გიორგის ცხოვ. ibid. 319—20). რთაც იუთ, ეს თავგასული აზნაურები მაფები შეიძლო და თავიდან მდიშორა (ibid. 319). მერე დაუძინებელმა მეტოქებმ და ძლიერმა მთწინააღმდეგებმ ლიპარიომა-კი მეფეს აჭიბა. ჯერ იუთ და „მოიყვანა ლიპარიტ დემე-ტრე ძმა ბაგრატისი, სამეფოდ ბერძენთა მე-ფისა ლაშქრითა და მეერთნეს სხვანიცა ვინმე დიდებული აზნაურნი“ (ქარ. ცხ. 324) ლი-პარიტი, ეტება ბაგრატ მეფეს ტახტიდან ჩამოგდებას უპირებდა და მის მეგონ დე-

მეტრეს გამეფება სურდა. ძლივსძლივობით მეფე და ლიპარიონტი შერიცდნენ; ბაგრატი იმდენად უძლეური იყო, რომ ამ თავის მედგარ მოწინააღმდეგესა და მეამბოხეს ლიპარიონტს „უბობა ქართლისა კრისთაბა“ (ქარ. ცხ. 325), იქნება უწინ აზნაურის გაჭლი ამით მანც მოვიკო. მაგრამ არც ამ წეალიბამ გასჭია: ლიპარიონტი რამდენჯერმე კიდევ აეშალა მეფე ბაგრატს და ასეთი დღე დააუკინა, რომ საბერძნეთში გახიზუნის მეტი აღარა დარჩა რა. რაკი საქმე ასე დატრიალიზა, ვიდრე იყო ბაგრატ საბერძნეთს, ითხოვაო, მოგვითხრობს მემატიანე ლიპარიონტს ბაგრატისა გიორგი მეფედ... მოსკეს იგი დედამან მისმან და დიდებულთა მის ქუეყანისათა, მოიყვანეს რუსს, აკურთხეს მეფედ და მოიგვანეს საზრდელად მისსა ლიპარიონტ“ (ქარ. ცხ. 329). ასე გაიმარჯვა ლიპარიონტია: ბაგრატი სელცურიელი დარჩა, ხელი ახალგაზდა მეფის აღმზრდელად თათანა ბრძანდებოდა ამარჩეული და მეფის და სამეფოს გამგება, რას აკვირვებადა, ლიპარიონტის წაუვარდებოდა სელში. ყველა ზემოყვანილ ცნობებიდან ცხალადა სჩანს, რამდენად ულონო იყო მაშინ საქართველოს ბატონი და რამდენად ძლიერნი იყვნენ აზნაურები, რომელნიც თავგამოდებით და დაუზოგავად ებრძოდნენ ბოლმე მეფეს. რასაკვირვებადა, ასეთ მეფეებს, რომელთაც საქართველოს ბატონებისავით აზნაურთა წინააღ-

მდეგობითა და ბრძოლით იჯაჭა გაწევიტიანი
ჰქონდათ, არ შეიძლება თვითმპურობელის
სახელი უწოდოს კაცმა, თუნდაც რომ
თვით მეფეებს ჩვენ ხელმწიფეებსავით „აღ-
მოსავლეთისა და დასავლეთისა თვითმპურო-
ბელებად“ აღიარებინათ თავისი თავი. შე-
ტყელია ამ მეფეების სურვილსა და სიტეზას
მოუმენი კანონად არ ჩასთვლიდნენ და ადვია-
დაც დაარღვევდნენ. ხოლო რაკი აზნაურობა ასე
ძლიერი იყო და თავის უფლებას თავგამოდე-
ბით იცავდა, მეფეს, რასაკვირველია, არ შე-
ძლო სამეფოს გაჭირებასა, ან სხვა ღიღმნი-
შვნელოვან საქმეების დროს აზნაურების და-
უკითხაფად რამე გაეკეთებინა; იგი ჯერ იმათ-
თან ითაბირებდა ხოლო, მერე საერთო სურ-
ვილის თანახმად მოიქციად ხოლო. როცა მა-
გალითად, გიორგი II სელესუქთა შემოსუვამ და
ქვეშის დაწილებამ თავი მოაბეზრა და საში-
ნელ გაჭირებაში ჩააგდი, მეფემ მემატიანეს
თქმით ჰუთ კანზრახვა დიდებულთა თვისითა თანა
და დაამტკიცეს წასვლა სულტანსა მალიქშას
წინაშე“ (ქარ. ცხ. 346). სელმწიფემ, როგორც
სჩანს თათონ არ იცოდა რა ექმნა და ამის გა-
მო დიდებულ აზნაურებს დაეკითხა რჩევას.

მაგრამ აუ აზნაურები იბრძოდნენ თავიანთ
უფლებათა დასაცავათ არც მეფეები შესცეკე-
როდნენ გულხელდაკრებილნი: ისინი, რაც
ძალი და ღიანე ჰქონდათ სულ იმის ცდაში იყ-
ვნენ, ზურგი როგორმე გაემაგრებინათ. თვი-

თოვეული მეფეთაგანი სხვა და სხვა ხერხება
ხმარობდა ხოლმე ამისათვის; პაგრატ მესამე,
მაგალითად „ურჩინი თვისნი შესცვალინა დიდე-
ბისაგან და ადგილთა მათთა დაადგინა ერთგუ-
ლნი და მისწრაფედ მორბილნი ბრძანებასა
მათსა“ (ქარ. ცხ. 304) მეფემ ხუმრობა არ იცო-
და და ჭაღს აზნაურს მალე მოიშარებდა ხოლ-
მე თავითან, ეს იუთ მისი საზოგადო და ჩვე-
ულებრივი ხერხი; თუ შეამჩნევდა რასმეს, ჯერ
მეტატიანეს სიტუაცია, „მცირედ ამხილის უ-
გეფთა, ვინ უკუეფის ურჩი და მისსა ადგილ-
სა განადიდნის ერთგული და მისანდობელი
თვისი“. (ქარ. ცხ. 302) გიორგი მეფე-კი
(მე-II) უფრო სიფრთხილითა და გულკე-
თილობით ცდილობდა თავის მოწინააღმდე-
გების გული მოეგო: ისტორიაში ამბობს
„ყოველივე ერთგული და ორგული დაფა-
რა წყალობითა და დაიწყნარა მეფობა თვი-
სი გიორგი მეფემან“-ო (ქარ. ცხ. 341)
მეტი დანე რომ არა ჰქონდა, სხვას რას
იზამდა? ცხადია მხელოდ, რომ მოდალატი-
სა და ერთგულის თანაბარი წეალისა და და-
ჯილდოვება სახელმწიფო ცხოვრებაში გამოუ-
დეგარი საშუალება და მარტო უძლეურ გამგეს
თუ მიეტევება, თორე სხვას არავის; ნაწეალო-
ბევი მესმბოსე აზნაური და ურჩი მოხელე თა-
ვისას არ დაიშლიდა და როდა იმისთვის ხელ-
საურელი იქნებოდა კვლავინდებულ გზას დად-
გებოდა. აკი ასეც იუთ ხოლმე. გიორგი მეფის

სახელოფანმა შეიძლება დავით აღმაშენებელმა ეს კარად შეიგნო და ორცა ფილაროტმა მამა-შაპეული თრგულობა გამოიჩინა, „ინება გაწურ-თა მისი ამისთვის კურო ილ ჰყო იგი უამ რაოდენმე, რომელი კმა იყო განსასწავლე-ლად გონიერისა ვისისამე და... განუტავა იგი და მითვე დიდებითა ამჟაფა და არა შეუ-ცისალა“ (ქარ. ცხ. 349). ჩვენა ვხედავთ, ორშ უზრო წესალობის მაგიერ დავით აღმაშენებელი მთდალატებს საპურადისად ამჟაფრავდა ხოლ-მე თავსა. მაგრამ პირველ დანამაულობისათვის მეთვე მაინც თანამდებობას არ ართმევდა ხოლ-მე, მაგრამ თუ მოხელე თავისას არ დაიშლი-და და თრგულობას შეამჩნევდა, მემატიანეს სიტყვით, „იხილა რა მშვიდმან და დვთივ განბრძნობილმან მეფემან დავით, რამეთუ კული ძალისა არა განემართების, არცა კირჩხიბი მართლად ვალს, მეორესა წელსა კვალად შეიპყრა ორწელ პყრობილ ყო და საბერძნების გაზზავნაო“ (ქარ. ცხ. 349). მე-თვე, ორგონუ სჩანს, მთდალატეთა დასასჯელად საუბეთესო საშუალებად საპურადისა სთვლი-და. მაინც და მაინც ამისთანა შემთხვევებში დაითა აღმაშენებელი ძალიან მკაცრად არ იქცევოდა და სიკვდილით არა სჯიდა დამ-ნაშავეებს, მხოლოდ სამუდამდ საქართველო-დან განაცევებდა ხოლმე. დავით აღმაშენებელის პოლიტიკური სიბრძნე და შორს გამჭვრეტე-ლობა, სახელმწიფოს შინაურ საქმეების მოწეს-

როგორის მოდენაწეობა ჯერ შესაფერისად დაფასებული არ არის. მერე რა დადა იყო ეს მეფის პოლიტიკა, რა ღრმა წარიცელისა და თანამედროვე ცხოვრების დაკვირვებასა და ცოდნაზე იყო იგი დამუარებული. ისტორიკოსი მოგვითხრობს, დავით აღმაშენებელი დაკვირვებაში დარწმუნად რომ „ნათესავი ქართველთა ორგულ ბუნება არს პირველთვანვე თვისთა უფალთა, რამეთუ რაეამს განლილნენ განსუკლნენ და დისება ჰყონ და განსვენება, იწყებენ განზრახვად ბოროტისა, ვითარცა მოგვითხრობს ძველი მატიანე ქართლისა და საქმენი აწ ხილულნი“-ო (ქარ. ცხ. 378). რასაკვირვებულია, აქ უმაღლეს წოდებაზე, აზნაურისაზეა დასხ. შესანიშნავმა ხელმწიფებმ დაინახა, რომ აზნაურთა აშლა მეფის წინააღმდეგ და ორგულობა საზოგადო მოვლენა იყო და არა შემთხვევითი; საზოგადო მოვლენა იმიტომ იყო, რომ აზნაურები ცდილობდნენ წინანდელი გავლენა და უფლება შეერჩინათ კიდევ როგორმე და მეფისათვის კი არ დაეთმოთ. დავით აღმაშენებელი ხედავდა აკრეივე, რომ აზნაურები ერთად იკრიბებოდნენ, ერთად მოქმედობდნენ საქართველოს ბატონის წინააღმდეგ; მეფეს კარგად მოეხსენებოდა, რომ აზნაურებს თავიანთი ჭარი—მოუმეები ჭუავდათ და შეერთებულ აზნაურთა ჭარის წინააღმდეგ შეფესაც-კი გაუკირდებოდა. აკი ამიტომაც მოსდიოდათ მარცხი

